ახალი განათლება

07-13.02.2019

№3 (837) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

როგორ შეძლებენ ატესტატის მიღებას პირები, რომლებიც წინა წლებში CAT-ის გამოცდებზე ჩაიჭრნენ ან არ/ვერ გავიდნენ

2018-2019 სასწავლო წლიდან, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სკოლის გამოსაშვები (ე.წ. CAT-ის) გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებისთვის მოიხსნა. იმისთვის, რომ მოსწავლემ აიღოს ატესტატი, უნდა ჰქონდეს ყველა საგანში დადებითი შეფასება, 5 ან მეტი ქულა.

მოსწავლეები, რომლებიც წინა წლებში ე.წ. CAT-ის გამოცდებზე ჩაიჭრნენ ან არ/ვერ გავიდნენ სხვადასხვა მიზეზის გამო, ატესტატის აღებას შეძლებენ, თუკი ყველა საგანში დადებითი შეფასება, 5 ან მეტი ქულა აქვთ.

მინისტრის განცხადებით, უწყებაში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ქვეყანაში 40 ათასზე მეტ ახალგაზრდას საშუალო სკოლის ატესტატი არ აქვს. ესენი არიან პირები, რომლებიც სხვადასხვა წელს CAT-ის გამოცდებში ჩაიჭრნენ. სამინისტრო გეგმავს, აღნიშნულ ახალგაზრდებს პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირების საშუალება მისცეს.

„ჩვენი ამოცანაა, ამ ახალგაზრდებს ყველანაირად დავეხმაროთ, რომ როგორმე მოხვდნენ პროფესიაში. ამ კუთხით მათ უკვე გაუჩნდებათ არჩევანი პროფესიულ პროგრამებზე ჩააბარონ და პროფესია ჰქონდეთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც მარტიდან დაიწყება და ყოველთვე ახალი პროგრამები დაემატება, იქნება მოკლე გადამზადების პროგრამები, რომ რაც შეიძლება მეტ, ასობით და ათასობით ახალგაზრდას მიეცეს შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ. ისინი ამ წლების განმავლობაში იყვნენ რეალურად სისტემიდან ამოვარდნილები, გვინდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დარეგისტრირდნენ, გაიარონ ეს პროგრამები და რაც მთავარია, დასაქმდნენ,“ – აცხადებს მიხეილ ბატიაშვილი.

რაც შეეხება პროცედურებს, ინსტრუქცია სამინისტროს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და თუ პირს სკოლის პროგრამა გავლილი აქვს, პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცემა.

კლასის დაძლევის ან გაცდენების ექსტერნის გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოსწავლეები ატესტატის აღებას შეძლებენ, თუკი ყველა საგანში დადებითი შეფასება, 5 ან მეტი ქულა აქვთ.

ატესტატს გასცემს სერვისების განვითარების სააგენტო კანონში შესაბამისი ცვლილების ამოქმედების შემდეგ. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვიანებით გამოქვეყნდება.

სკოლადამთავრებულებს, რომლებიც მოიპოვებენ ატესტატს, უფლება ექნებათ გაიარონ რეგისტრაცია პროფესიული ან უმაღლესი განათლების მიღების მიზნით როგორც 2019 წელს, ასევე შემდგომ წლებშიც. ეროვნულ დონეზე საგამოცდო რეგისტრაციის ვადები გამოცხადდება დადგენილი წესით.

- **უმაღლესი განათლება ევროპული სივრცის ნაწილი რომ გახდეს**
- **ახალგაზრდების სწრაფი დასაქმების პერსპექტივა**
- **პედაგოგთა პროფესიული განვითარება ახალი სქემის ამუშავებამდე**
- **გარანტიები ბავშვთა დაცვის, თავისუფლებისა და ფუნდამენტური პრინციპების რეალიზებისთვის**
- **სახელმძღვანელოს არჩევა კონკრეტული სკოლისა და მასწავლებლების უფლებაა**

ხელმოწერთა საყურადღებოდ!

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, დოკუმენტებზე (ამ შემთხვევაში, გაზეთის ხელმოწერის ხელშეკრულებაზე) შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები (ხელშეკრულებები) დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

აქედან გამომდინარე, „ახალი განათლების“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, ჩვენ მიერ მოწოდებული მატერიალური ხელშეკრულებები, 20 თებერვლამდე, გადმოგვიგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე axaliganatleba1@gmail.com, რომლებსაც დაგიმოწმებთ ელექტრონული ხელმოწერით და უკან დაგიბრუნებთ. ეს პროცედურა საშუალებას მოგცემთ, ხელშეკრულებები უპრობლემოდ ატვირთოთ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. გთხოვთ, დაიცვათ მითითებული ვადა.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 300 264, 599 88 00 73

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

რეფორმა

უმაღლესი განათლება ევროპული სივრცის ნაწილი რომ გახდეს

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, იანვრის ბოლოს, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, გიორგი ვაშაკიძემ, ჟურნალისტებს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის ხედვა და განათლების ხარისხის განვითარების ორწლიანი სამოქმედო გეგმა წარუდგინა.

ვიდრე ამ რთული გზის შესახებ ვისაუბრებდე, პირველ რიგში, დავსვათ კითხვა – რა მიზანს ემსახურება განათლება? ყველა ადამიანს საკუთარი აზრი და პასუხი აქვს ამ კითხვაზე. მე ჩემსას შემოგთავაზებთ: სახელმწიფოს (პოლიტიკის) გადმოსახედიდან განათლების მიზანია, შექმნას ადამიანური კაპიტალი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას; სოციუმის გადმოსახედიდან განათლების მიზანია, ჩამოაყალიბოს მზარდ და განახლებად დონეზე ორიენტირებული საზოგადოება, ხოლო ინდივიდის გადმოსახედიდან, განათლების მიზანია მისცეს ინდივიდს ცოდნა, გამოუმუშაოს უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბოს ის ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია, რომ მან შეძლოს აქტიური სამოქალაქო ცხოვრება და, რაც მთავარია, კარიერული განვითარება.

აღწევს კი ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა ამ მიზანს? ხარისხის განვითარების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენო – მხოლოდ ნაწილობრივ. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წინა წლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მხოლოდ 30% პროგრამებისა იყო იმდენად სრულყოფილი, რომ მიიღო უპირობო აკრედიტაცია, ხოლო რაც შეეხება სხვა კომპონენტებს (კვლევითი კომპონენტი, კვალიფიკაციები, უცხოეთში დიპლომების აღიარება, საგრანტო რესურსების ათვისება, კვლევების ინტერნაციონალიზაცია, სამეცნიერო წარმადობა), იყო გამოკვეთილად სუსტი. ამიტომ, ამ მიმართულებით სამუშაო ძალიან ბევრია, რადგან ჩვენი მიზანია შევქმნათ სანდო და კონკურენტუნარიანი გარემო. ვექტორი, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად გვაქვს აღებული, არის ევროპული. ეს არ არის სიახლე, თითქმის, 20 წელია ამ მიმართულებით ვითარდება ჩვენი ქვეყანა მეტ-ნაკლები წარმატებითა და მეტ-ნაკლები ტემპებით. ასოცირების ხელშეკრულების შემდგომ კი ცალსახაა, რომ ამ გზაზე ბევრად სწრაფად და წარმატებით უნდა ვიაროთ. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ისახავს ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა.

მოგეხსენებათ, 2018 წლიდან მოხდა ***ევროპული სტანდარტების ტრანსფორმაცია ჩვენს კანონმდებლობაში და დაიწყო კიდეც მათი დანერგვა****. ამით, ხარისხობრივად და თვისობრივად სულ სხვა, ახალ სისტემაზე გადავედით. გვქონდა სისტემა, როდესაც ვითვლიდით მაგიდებს, მერხებს, სკამებს... ახალი სტანდარტით დავიწყეთ იმის ანალიზი, როგორ ვითარდებიან, რეალურად, უნივერსიტეტები, რამდენად მზად არიან ისინი თავიანთი მისიის შესასრულებლად.*

ახალი სტანდარტები 3 ძირითად პრინციპზეა ორიენტირებული. ესაა: ანგარიშვალდებულება, ჩართულობა და უწყვეტი განვითარება. დამეთანხმებით, რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ორიენტირებული სისტემისთვის რთული და მტკივნეულია ესოდენ ამბიციურ სტანდარტებზე გადასვლა. ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორმხრივი თანამშრომლობა ამ პროცესში. უმაღლესი სასწავლებლები და ხარისხის განვითარების ცენტრი სხვადასხვა ფუნქციებს ვახორციელებთ, მაგრამ ჩვენ ერთი საერთო სამიზნე ჯგუფი გვყავს – ეს არიან სტუდენტები. ცენტრი მზადაა ამ თანამშრომლობისთვის, თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ უნივერსიტეტებმაც – ეს ორმხრივი თანამშრომლობის გზაა.

მაღალი დონის სტანდარტის დანერგვის შემდეგი ნაბიჯია ***ურთიერთნდობის გაღრმავება*** *და* ***აღიარებისა და მობილობის ხელშეწყობა*** *როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESC) ეფექტურად დანერგვას (მისი მიზანია სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხის საერთო ჩარჩოს შექმნა ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე) თავისთავად მოსდევს სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება, რაც ავტომატურად განაპირობებს ევროპული ინსტიტუციების სანდოობის ზრდას ქართული უნივერსიტეტების მიმართ. ამიტომაა კრიტიკულად მნიშვნელოვანი განვითარებაზე ორიენტირებული სტანდარტების დანერგვა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ჩვენ მიერ გაწეული საქმიანობის და მიღწეული შედეგის შეფასება გარედან. ამ მისიას ასრულებს ENQA (****უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი****). სწორედ მან უნდა დაადასტუროს, რომ საქართველოში შეიქმნა და ეფექტურად ინერგება ხარისხის განვითარების ევროპული წინაპირობები. ჩვენ, ამ მხრივ, ყველა პროცედურა გავიარეთ და მარტში ველოდებით საბოლოო გადაწყვეტილებას, დიდი იმედი გვაქვს, რომ – დადებითს. გარდა ამისა, ENQA-ს სხვა უპირატესობაც აქვს – ის არის კომუნიკაციის პლატფორმა ავტორიტეტულ და გავლენიან ევროპულ ინსტიტუტებთან, რომლებიც ხარისხის განვითარების კუთხით მუშაობენ; გვექნება მუდმივი ხელმისაწვდომობა აქტუალურ და მნიშვნელოვან ინფორმაციაზე; ის იქნება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ერთგვარი გარანტიც.*

ახლა, რაც შეეხება სხვა ინსტიტუციებს, საითკენ გვიხსნის გზას ENQA. პირველ რიგში, ეს არის ***ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული რეესტრი*** *(EQAR), რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მინიჭებული დიპლომი და კვალიფიკაცია უპრობლემოდ იქნება აღიარებული ევროპაში, გარდა იმისა, რომ ჩვენი ცენტრი აქტიურად გამოჩნდება ხარისხის განვითარების ევროპული ინსტიტუციების რუკაზე.*

მეორე ორგანიზაცია, რომელში გაწევრიანებასაც ვგეგმავთ, ***უმაღლესი განათლების აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმია*** *(ECA). ეს ჩვენი საერთაშორისო კომპონენტზე, ანუ ინტერნაციონალიზმზე ორიენტირებული მიზანია, რაც ქართული უნივერსიტეტების ერთ-ერთი სუსტი ადგილია და მოიცავს სწავლისა და კვლევების მიმართულებას. ECA-ს წევრობა ნიშნავს, რომ გაქვს შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის უფლება, ხოლო ამ სერტიფიკატის მფლობელ უმაღლეს დაწესებულებას – საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის უფლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის, ინტეგრაციის კუთხით, სხვაგვარად ვერ გავცდებით ეროვნულ ფარგლებს. ამიტომაც* ***ინტერნაციონალიზაცია სწავლებასა და კვლევებში*** *ჩვენი მომდევნო, ორწლიანი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.*

ხარისხის განვითარების ცენტრს ბუნებრივად აქვს ინკვიზიტორული ფუნქციები, მაგრამ ეს სრულებით არ გამორიცხავს მის უმთავრეს როლს მხარდაჭერისა და თანამშრომლობის კუთხით. ამის ერთ-ერთი მაგალითია ***განმავითარებელი შეფასებები****. რას გულისხმობს ეს? ხარისხის განვითარების გარე მექანიზმები, რომელთაც ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის ვიყენებთ, თავისი ხასიათით, არის განმსაზღვრელი – ან აკმაყოფილებს სტანდარტს, ან არ აკმაყოფილებს, რასაც მოყვება შესაბამისი პრივილეგია ან სანქცია. განმავითარებელი შეფასება მხოლოდ მხარდამჭერი ხასიათის შეფასებას გულისხმობს, ანუ შეფასებას ნიშნის დაწერის გარეშე. უკვე წელს, განათლების სამინისტროს პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით, ჩვენ შევძლებთ, რამდენიმე უნივერსიტეტს შევთავაზოთ განმავითარებელი შეფასება.*

რაც შეეხება ***დარგობრივ მახასიათებლებს*** *(Benchmarking). რეგულირებად პროფესიებში დარგობრივი მახასიათებლები გვაქვს. განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდა, ამ მხრივ, მედიცინის სფერო, სადაც განვაახლეთ და სრულ შესაბამისობაში მოვიყვანეთ მსოფლიო სტანდარტთან საგანმანათლებლო დარგობრივი მახასიათებლები, გასული წლის ოქტომბრიდან კი ცენტრი გახდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წევრი. იმ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს, რომლებიც მიიღებენ შესაბამის აკრედიტაციას, 2023 წლიდან, უპრობლემოდ შეეძლებათ სალიცენზიო გამოცდებზე გასვლა ამერიკისა თუ კანადის სამედიცინო უნივერსიტეტებში. ეს ძალიან დიდი მიღწევაა, მაგრამ ახალი დარგობრივი მახასიათებლები არარეგულირებად მიმართულებებშიც გვჭირდება. იმიტომ რომ, ეს არის დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას ეხმარება პროგრამის შემუშავებაში, ხოლო ექსპერტს – ამ პროგრამის შეფასებაში. გარდა ამისა, დარგობრივ მახასიათებელს განმავითარებელი ფუნქციაც აქვს. ჩვენ ვგეგმავთ ისეთი დარგობრივი მახასიათებლების ჩამოყალიბებას, რომელიც დაეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, მაგრამ ადაპტირებული იქნება ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით. აქ სწორება გვექნება ABET-სა და tedQual-ზე, რაც გამოიცადა სან-დიეგოს უნივერსიტეტში და რაზეც დიდი მოთხოვნაა. აპრილიდან დავიწყებთ კონსულტაციებს ABET-თან და ვფიქრობ, მემორანდუმსაც გავაფორმებთ დარგობრივი მახასიათებლების დანერგვის თაობაზე. იგივეს ვიტყოდი tedQual-ზე, რომელიც ტურიზმის მსოფლიო აკადემიის პროდუქტია. ორივე შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, 4-5 წელიწადში, ჩვენი უნივერსიტეტები თავად შეძლებენ ABET-ის აკრედიტაციის თაობაზე განაცხადის გაკეთებას და სერტიფიკატის მოპოვებას.*

აუცილებელია მუშაობის გაგრძელება ***პროცედურების ოპტიმიზაციის*** *მიმართულებითაც. დეტალური საუბარი ამის შესახებ უნივერსიტეტებთან გვექნება, აქ, ზოგადად, ვიტყვი, რომ საჭიროა ქაღალდომანიის დაძლევა. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტების ერთობლიობა, ზოგჯერ, 10000 გვერდსაც კი აღწევს ხოლმე! საწყის ეტაპზე, ამ რაოდენობას 50-60%-ით მაინც შევამცირებთ.*

ასევე გეგმაში გვაქვს ***საბჭოების დარგობრივი ნიშნით დაკომპლექტება****. ეს აუცილებელია მათი კომპეტენციის ამაღლებისათვის. შესაძლოა, ცვლილება შეეხოს სააპელაციო საბჭოსაც. დამეთანხმებით, რთულია სამივე საფეხურზე ოპერირება, სწორედ დარგობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით. ამიტომაც ვფიქრობთ მის დაყოფას სამივე საფეხურის მიხედვით.*

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი იქნება ***ადამიანური და დამხმარე რესურსების გაძლიერება****. ამ მიმართულებითაც ბევრი სამუშაო გვაქვს – ცენტრში შეიქმნება ხარისხის სკოლა, სადაც, პირველ რიგში, შემუშავდება მოდულები ექსპერტებისათვის და უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებისათვის. მიმდინარე წელს ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ექსპერტების მომზადება-გადამზადება და ატესტაციის შესაბამისი სისტემის დანერგვაა. თუმცა ამით არ შემოვიფარგლებით და აქტიურად ვითანამშრომლებთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, ექნებათ ინტერესი, მეტი ცოდნა მიიღონ ამ მიმართულებით.*

დაგეგმილი გვაქვს ასევე რამდენიმე სახელმძღვანელოს შექმნა. აკრედიტაციის სახელმძღვანელოზე მუშაობა დასრულებულია და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. 2018 წელს მიღებულმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა, შევქმნათ დამოუკიდებელი სახელმძღვანელოები ექსპერტებისთვისა და შიდა ხარისხის განვითარებაზე მომუშავე ადამიანებისთვის.

* * *

პრეზენტაციის დასასრულ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა განსაკუთრებით მნიშვნელოვან იდეად მიიჩნია ხარისხის განვითარების ცენტრში ხარისხის სკოლის ამოქმედება და მისი დაფუძნებისა და განვითარების საქმეში ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა ცენტრს; ასევე გამორჩეულად პრიორიტეტულად დაასახელა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეებში ინტეგრაციის საკითხი, რაზეც მუშაობის გაგრძელება უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან დაუყოვნებელი შეხვედრების დაწყებით ურჩია ცენტრის დირექტორს. *„მთავარია, დავანახოთ მათ, რომ ამ გზას ალტერნატივა არ აქვს. სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა და ქართული დიპლომის აღიარება, ის საკითხებია, რომლებიც, ერთობლივი ძალისხმევით, ორ წელიწადში უნდა გადაწყდეს. დარწმუნებული ვარ, ამ საინტერესო გზას კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტები წარმატებით გაივლიან, სახელმწიფოს ყოველმხრივი დახმარებითა და მხარდაჭერით“* – განაცხადა **მიხეილ ბატიაშვილმა**.

მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა

რეფორმა

ახალგაზრდების სწრაფი დასაქმების პერსპექტივა

4 თებერვალს, განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა**, მინისტრის მოადგილესთან **ირინა აბულაძესთან** და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან **ირინა წეროძესთან** ერთად, პროფესიული განათლების მიმართულებით გამართულ პრეზენტაციაზე იმ ძირითად სიახლეებზე ისაუბრა, რაც პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას შეუწყობს ხელს.

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში:

- საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდებს (9 კლასი) საშუალება მიეცემათ, პროფესიის შესწავლის პარალელურად, სრული ზოგადი განათლება მიიღონ;
- სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს (12 კლასი) შესაძლებლობა ექნებათ, ისწავლონ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც შემუშავებულია დამსაქმებლების მონაწილეობით;
- პროფესიულ სასწავლებლებში გაძლიერდება სამეწარმეო განათლება და ინოვაციური სწავლება. განვითარდება მაღალტექნოლოგიური ცენტრები (EXCELLENCE CENTERS), რომლებიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მომავლის პროფესიების შესწავლას და ტექნიკური, ციფრული, სამეწარმეო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- ფორმალური განათლების ფარგლებში, სწრაფი დასაქმებისთვის, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსებით გათვალისწინებულია ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის უნარების განახლებას ან ახალი კომპეტენციების შეძენას.
- გაუმჯობესდება რეგიონული დაფარვა. ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებითა და საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის გამოყენებით.

სამწლიანი ფაზა მიზნად ისახავს:

- არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვას;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობას, სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების მასშტაბების გაზრდით;
- გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დანერგვას;
- პროფესიული კონსულტირების სისტემის განვითარებას;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული განვითარების მოდელის დანერგვას.

მიხეილ ბატიაშვილმა ერთ-ერთი მთავარი აქცენტი რეგიონებში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაზე გააკეთა, რაც ახალგაზრდებს ადგილზე განათლების მიღების და რეალიზაციის შესაძლებლობას მისცემს.

მინისტრის თქმით, სამინისტროს მიზანია, პროფესიული განათლება ორიენტირებული იყოს რეგიონულ საჭიროებებსა და სწრაფ დასაქმებაზე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტებში უკვე არსებობს 11 ახალი ლოკაცია, რომლის განვითარება 2018 წელს დაიწყო და დღემდე უწყვეტად გრძელდება. სამინისტროს მიერ განერილია დეტალური გეგმა, წლების მიხედვით – რა პროექტები განხორციელდება და რა სერვისებს მიიღებენ ახალგაზრდები ამ მიმართულებით.

პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესში აქტიურად დაინერგება ინოვაციები და თანამედროვე ტექნოლოგიები. შეიქმნება არაერთი თანამდროვედ აღჭურვილი ექსელენს ცენტრი, სადაც მომავლის პროფესიების დაუფლება იქნება შესაძლებელი. პროფესიულმა სასწავლებლებმა უნდა შეძლონ, რომ ახალგაზრდები XXI საუკუნის გამოწვევათა მისაღებად საჭირო ცოდნითა და უნარებით შეაიარაღონ და კონკურენტუნარიანი გახადონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

მინისტრმა კერძო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობაზეც ისაუბრა: *„პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენი ხედვით, მათ გარეშე შეუძლებელია ისეთი პროფესიული პროგრამების შემუშავება, რომლებიც სამუშაო ადგილების შექმნასა და სწრაფ დასაქმებაზეა ორიენტირებული. კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობის რამდენიმე კარგი მაგალითი უკვე გვაქვს, კერძოდ, ზუგდიდში სტუმარმასპინძლობის სასწავლებელი გაიხსნება, რაც ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშია“.* მისი თქმით, გრძელდება სამინისტროს თანამშრომლობა კომპანიებთან როგორც დასაქმების, ასევე ახალი პროგრამებისა და სასწავლებლების დაფუძნების კუთხით. სამინისტროს მიზანია, რაც შეიძლება მეტ კომპანიას გაუჩნდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს პროფესიულ განათლებაში.

პრეზენტაციაზე ერთ-ერთი მთავარი აქცენტი ახალგაზრდების შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებაზე გაკეთდა, რაც მათი დასაქმების გარანტია. *„ჩვენი ყველაზე მთავარი მიზანია, ახალგაზრდას მიეცეს სწრაფი დასაქმების პერსპექტივა. ერთი მხრივ, გვყავს უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ადგილის მოძებნა, მეორე მხრივ არსებობს შრომის ბაზარი, სადაც ვერ ხდება შესაბამისი კადრების მიწოდება. ამიტომ, რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას უნდა ვაჩვენოთ სწორი გზა, რომ საკუთარი თავი დაინახოს შრომის ბაზარზე, რაც ჩვენი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივაა.“*

მინისტრის თქმით, სწორედ ამიტომ, სამინისტროს ამოცანაა მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ხარისხიანი განათლების შეთავაზება და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

მიხეილ ბატიაშვილმა მოკლევადიან გადამზადების კურსებზეც ისაუბრა, რომლებიც ატესტატის გარეშე დარჩენილ ბავშვებს განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობას მისცემს. *„ჩვენ გვყავს 40 000-მდე ბავშვი, რომლებმაც ვერ ჩააბარეს საატესტატო გამოცდები და მათი უმრავლესობა ჰაერშია დარჩენილი. ჩვენი ამოცანა, მოვალეობა და ვალდებულებაა, მათთან სწორი კომუნიკაციის საფუძველზე, დავაბრუნოთ ისინი განათლებაში. მაქსიმალურად სწრაფად უნდა შევძლოთ ამ ბავშვების გარკვეულ პროფესიაში შეყვანა და მათი შრომით ბაზარზე დაბრუნება. ვგეგმავთ აქტიურ საკომუნიკაციო კამპანიას, რათა დავანახოთ მათ წინაშე არსებული შესაძლებლობები. კონსულტაცია გაეწევა მშობლებსაც და ბავშვებსაც, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“.*

მარტიდან ამოქმედდება მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები და ასობით ახალგაზრდას, რომლებიც ამ წლების განმავლობაში სისტემის მიღმა დარჩნენ, მიეცემათ შესაძლებლობა, დარეგისტრირდნენ, გაიარონ მოთხოვნადი პროგრამები და, რაც მთავარია, დასაქმდნენ.

პედაგოგთა პროფესიული განვითარება ახალი სქემის ამუშავებამდე

განათლების რეფორმის ფარგლებში წარმოდგენილ ცვლილებებს შორის პედაგოგებისთვის განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა პედაგოგთა პროფესიული განვითარების სქემასთან დაკავშირებული სიახლე. როგორ გაგრძელდება იმ მასწავლებელთა წინსვლა, ვისაც ეს პროცესი დაწყებული აქვთ ან როგორ მოახერხებენ უკვე მოპოვებული სტატუსის შენარჩუნებას? მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, **ბერიკა შუკაკიძე ამბობს**, რომ უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები სტატუსს შეინარჩუნებენ, მათი წინსვლა ნებაყოფლობითია. მასწავლებლები, რომლებსაც დაწყებული აქვთ კარიერული წინსვლა, სასწავლო წლის ბოლომდე შეძლებენ სტატუსის ამაღლებას.

✓ **პრაქტიკოს მასწავლებელს**, რომელიც, 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, წარმატებით დააგროვებს წინსვლისთვის საჭირო რაოდენობის კრედიტქულას, მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, პრაქტიკოსი მასწავლებელი აბარებს ორივე გამოცდას – ადასტურებს როგორც საგნობრივ კომპეტენციას ჯამური ქულის, მინიმუმ, 60%-იანი შედეგით, ასევე პროფესიული უნარების კომპეტენციასაც ჯამური ქულის, მინიმუმ, 60%-იანი შედეგით.

პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც ჯერ არ დადასტურებია არც საგნობრივი, არც პროფესიული კომპეტენცია, მაგრამ პროფესიული განვითარების აქტივობებისთვის მინიჭებული აქვს, სულ მცირე, ერთი კრედიტქულა, **უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად** აბარებს ორივე გამოცდას – ადასტურებს საგნობრივ კომპეტენციას ჯამური ქულის, მინიმუმ, 50%-იანი შედეგით და პროფესიული უნარების კომპეტენციას ჯამური ქულის, მინიმუმ, 50%-იანი შედეგით.

✓ რაც შეეხება **უფროს მასწავლებლებს**, რომლებსაც 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის დასრულებული ექნებათ შიდა შეფასების პროცესები და წინსვლისთვის მხოლოდ გარე დაკვირვება ექნებათ დარჩენილი – მათაც მიეცემათ უფლება, 2019 წლის ბოლომდე გაიარონ გარე დაკვირვება.

უფროსი მასწავლებლები სტატუსს შეინარჩუნებენ და სკოლა არა თუ უფლებამოსილი, ვალდებულიც კი იქნება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით მისცეს მათ რეკომენდაციები. უფროსი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ორი გზა არსებობს:

- პირველი – მასწავლებელს, რომელიც 2018-2019 სასწავლო წლის ბოლომდე დააგროვებს 15 კრედიტქულას, მათ შორის – სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ დადებითად შესაფასებელი სავალდებულო აქტივობებით (კვლევა და ორი სამოდელო გაკვეთილი), საშუალება მიეცემა, 2019 წლის ბოლომდე გაიაროს გარე დაკვირვება და აიმაღლოს სტატუსი.
- მეორე – უფროსი მასწავლებელი აბარებს წამყვანი ან მენტორი მასწავლებლისთვის განკუთვნილ გამოცდას და ადასტურებს კომპეტენციას.

გამოცდის ფორმატი არსებულისგან განსხვავებული იქნება და მასწავლებლის კომპეტენციების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. საგამოცდო ფორმატის შესამუშავებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ახლო მომავალში, ცენტრი შემუშავებულ კონცეფციას განსახილველად წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

✓ **წამყვანი მასწავლებელი** ვალდებულია, იზრუნოს პრაქტიკოსი მასწავლებლების, დამწყები მასწავლებლების, მაძიებლების, პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე, გაუზიაროს მათ გამოცდილება. მასაც კარიერული წინსვლის ორი გზა ექნება:

- პირველი – 2018-2019 სასწავლო წლის ბოლომდე თუ დააგროვებს წინსვლისთვის საჭირო 25 კრედიტს, მათ შორის – 9 კრედიტქულას სქემით განსაზღვრული სავალდებულო აქტივობებისთვის (პროფესიული ლიტერატურის ან სასწავლო რესურსის შექმნა, სკოლის საჭიროებათა კვლევა, სამოდელო გაკვეთილები), აუცილებლად აიმაღლებს სტატუსს.
- მეორე – წამყვან მასწავლებელს შეუძლია ჩააბაროს მენტორი მასწავლებლისთვის განკუთვნილი გამოცდა და დაადასტუროს კომპეტენცია.

✓ სტატუსს შეინარჩუნებენ **მენტორი მასწავლებლებიც**. გარდა ამისა, მათ ევალებათ პრაქტიკოსი მასწავლებლების, დამწყები მასწავლებლების, მაძიებლების, პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა-დახმარება, გამოცდილების გაზიარება.

ცენტრის დირექტორი ამბობს, რომ საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, სქემის განახლებულ ვერსიაზე მსჯელობა კვლავ გაგრძელდება. საბოლოო ვერსიის წარდგენამდე, სამუშაო ჯგუფი, პროფესიულ წრეებთან არაერთ შეხვედრას გამართავს.

ბავშვის უფლებათა კოდექსი

გარანტიები ბავშვთა დაცვის, თავისუფლებისა და ფუნდამენტური პრინციპების რეალიზებისთვის

ლალი ჯელაძე

4 თებერვალს ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მიზანია, კანონპროექტის მიღებამდე, საზოგადოებაში დაიწყოს შესაბამისი დისკუსია და განხილვა. კოდექსი შემუშავდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით.

ბავშვის უფლებათა კოდექსი არის სპეციალური კანონი, რომელიც ადგენს საკანონმდებლო საფუძვლებს, დაცვის საშუალებებსა და გარანტიებს ბავშვის უფლებების, თავისუფლებისა და ფუნდამენტური პრინციპების რეალიზებისთვის. კოდექსი იქნება სახელმძღვანელო სამართლებრივი აქტი ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის, ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის, საერთო სასამართლოებისთვის, საჯარო და კერძო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისთვის ბავშვთა საკითხებზე მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ბავშვის კოდექსი უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანს – ბავშვის კეთილდღეობისა და დაცვის უზრუნველყოფას. ჩვენ ვაძლიერებთ ოჯახებს, იმავდროულად ვზრუნავთ იმაზე, რომ სადაც ოჯახი ვერ ართმევს თავს ბავშვის კეთილდღეობას, იქ სახელმწიფომ იტვირთოს ეს ვალდებულება იმგვარად, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სეგმენტში ბავშვი იყოს ბედნიერი. ჩვენ ამ რეფორმაზე თითქმის ორი წელია ვმუშაობთ. გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელმა, ბატონმა ღასან ხალილმა ამ პროექტში თავისი დიდი წვლილი შეიტანა, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, **სოფო კილაძემ**.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, **ღასან ხალილმა** აღნიშნა, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, საქართველოს ჰქონოდა სპეციალური კანონი ბავშვის უფლებათა შესახებ. *„2017 წელს იუნისეფმა ჩაატარა ეროვნული კანონმდებლობის ყოვლისმომცველი ანალიზი ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 30-ზე მეტი კანონის ცვლილების და ბავშვის უფლებების შესახებ ცალკე საკანონმდებლო აქტის შექმნის საჭიროება. ჩვენ განვაგრძობთ პარლამენტის მხარდაჭერას კოდექსის პროექტის სრულყოფის და მის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით კოდექსის მიღებამდე“.*

ღასან ხალილი მიიჩნევს, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსი, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბავშვთა დაცვას და მათ მდგომარეობას საქართველოში, ამიტომ იუნისეფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ კანონპროექტს და მის მიღებას. *„კანონი შექმნის სამართლებრივ საფუძველს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართულებით, ასევე შექმნის სახელმწიფო სისტემას, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბევრი საჭირო და მნიშვნელოვანი კანონია მიღებული ბავშვთა უფლებების დასაცავად – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სოციალური სამუშაოს შესახებ კანონი, მაგრამ ეს იქნება კანონი – ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც გამოიწვევს ცვლილებებს სხვა კანონში, სისტემაში, გრძელვადიან პერსპექტივაში და, რაც მთავარია – უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი ბავშვების დაცვის სისტემის შესაქმნელად საქართველოში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სექტორის თანამშრომლობას და გაუმჯობესებულ კოორდინაციას, რომ ყველამ ერთობლივად მოახდინოს ბავშვის უფლებების დაცვა.“*

იუნისეფის რეგიონული მრჩეველი ჟენევის სათაო ოფისიდან, **აარონ გრინბერგი** კოდექსს საკმაოდ ამბიციურ დოკუმენტად მოიხსენიებს. იმისთვის, რომ შედეგი დადგეს, აუცილებელია მულტიდისციპლინური მიდგომა და სხვადასხვა უწყების ჩართვა, იქნება ეს იუსტიციის, ჯანდაცვის თუ განათლების სამინისტროები. *„პოლიტიკაში არ არსებობს წარმატება, რომელსაც თან არ ახლავს დიდი შრომა. ვფიქრობ, თავდაუზოგავი შრომით და მონდომებით თქვენ წარმატებას მიაღწევთ“.*

მრჩეველი ყურადღებას ამახვილებს ბოლო დროს ქვეყანაში ბავშვების მიმართ განხორციელებულ ძალადობის შემთხვევებზე, თუმცა ამბობს, რომ მსგავსი ფაქტები მხოლოდ აქ არ ხდება, მთავარია, ყურადღების მიღმა არ დარჩეს და მათი იდენტიფიცირება არასასურველი მოვლენების განვითარებამდე შევძლოთ.

„მნიშვნელოვანია საზიარო/ერთობლივი პასუხიმგებლობა იგრძნონ სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა და მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ სამინისტროს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა. ყველა უწყებამ, რომელსაც ოდნავ მაინც აქვს შეხება ბავშვებთან, თანაბრად უნდა იზრუნოს მათი უფლებების დაცვაზე. იუნისეფი მზადაა განაგრძოს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა და ამ პროცესს ძალიან აქტიურად ვადევნებთ თვალს ჟენევიდან, სათაო ოფისიდან.

ბევრ ქვეყანაში მინახავს, თუ როგორ შეცვალა ბავშვთა უფლებების კოდექსმა ბავშვების მდგომარეობა, სწორედ ასე გვინდა, რომ მოხდეს საქართველოშიც. მჯერა, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს ნაკლები შედეგის მოტანას.“ – აღნიშნა აარონ გრინბერგმა.

ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტი:

✔ **მოიცავს** ბავშვის ყველა უფლებასა და თავისუფლებას და აწესებს მათი დაცვისა და რეალიზებისთვის საჭირო მექანიზმს. კანონპროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოჯახის ყველა ტიპის ძალადობისგან დაცვის, ინკლუზიური განათლებისა და ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლებების განხორციელებას.

✔ **აღმოფხვრის** ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებისას არსებულ უთანასწორობას ბავშვის უფლებების დაცვის უკეთესი სისტემის საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს ბავშვისა და მისი ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

✔ **აწესებს**, ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების მექანიზმს, რომლის ნაწილი იქნება ბავშვზე ზეგავლენის შეფასება, უწყებათაშორისი კოორდინაცია, მულტიდისციპლინური თანამშრომლობა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ინფორმირებული პოლიტიკისათვის, ბავშვთა საკითხებზე მომუშავე პროფესიონალების სპეციალიზაცია.

„წარმოდგენილი კანონპროექტი შესაბამისობაშია და იზიარებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას, რომ აღიაროს ბავშვი როგორც უფლებების მქონე სუბიექტი, რომელსაც აქვს უფლებები, ფლობს ინფორმაციას ამ უფლებების შესახებ, აცნობიერებს მას და აქვს შესაძლებლობა, თავადაც შეძლოს დამოუკიდებლად მინიჭებული უფლებების განხორციელება. ის შესაბამისობაშია როგორც კონვენციასთან, ისე მის დამატებით ოქმებთან, რომელიც ეხება ბავშვის დაცვას სხვადასხვა ფორმის ძალადობისგან.“ – ამბობს **ნანა ჩაფიძე**, გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტი ბავშვთა უფლებებზე.

კოდექსში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ბავშვის ოჯახის მხარდაჭერის კომპონენტზე, ბავშვთა მიტოვებისა და მშობლებისაგან განცალკევების პრევენციისთვის. დღეის მდგომარეობით, ამ კუთხით, მთავარი პრინციპები და მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არსებობს, სხვადასხვა კანონებში და კანონქვემდებარე აქტებშია გაბნეული. სისტემა ასეთია, როდესაც ოჯახში ბავშვის დარჩენა ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს და აუცილებელია მისი განცალკევება ოჯახისგან (ეს უკიდურეს შემთხვევაში ხდება, როცა სახეზე გვაქვს ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობა ან როდესაც მას არ ჰყავს მშობლები და მოკლებულია მზრუნველობას), სახელმწიფო ვალდებულია, ჩაერიოს და ბავშვს შესთავაზოს ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული ალტერნატიული ზრუნვის მექანიზმი. ასეთ შემთხვევაში, კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების ძირითად პრინციპებს და დამატებით კონტროლს აწესებს, ბავშვის უფლებების დაცვის გარანტი სასამართლო გადაწყვეტილება ხდება. *„გადაწყვეტილების მიღების პროცესში კი ჩართული იქნება როგორც ბავშვი, ისე მასზე მზრუნველი პირები და სხვა უწყებები, რომლებმაც მას სერვისები და პროგრამები უნდა შესთავაზონ“* – ამბობს ნანა ჩაფიძე.

ბავშვთა დაცვის ამ ინოვაციური მეთოდის გარდა, ქალბატონი ნანა კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეზე – ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმზე საუბრობს: *„როდესაც პარლამენტი რომელიმე კანონს, ბიუჯეტის შესახებ გადაწყვეტილებას ან კანონქვემდებარე აქტს/დადგენილებას იღებს, მუშაობის პროცესში ვალდებული იქნება წინასწარ შეაფასოს პოზიტიური/ნეგატიური რისკები, რა ზეგავლენას მოახდენს მომავალში ბავშვზე, ბავშვთა ჯგუფზე ან საერთოდ ბავშვთა პოპულაციაზე. პროცესი მათ წინასწარი განსაზღვრის საშუალებას მისცემთ – თუკი რაიმე ტიპის საფრთხე გამოიკვეთება, თავშივე შეცვალონ და მიიღონ ისეთი კანონი ან გადაწყვეტილება, რომელიც უპირატესობას ბავშვის ინტერესებს მიანიჭებს. ეს არის პრინციპი, რომელიც დღემდე არც ერთ კანონში არ იყო დანერგილი, როგორც ფორმალური შეფასების პროცედურა. კოდექსში განსაზღვრული იქნება ის კონკრეტული კრიტერიუმები, თუ რა შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვას და მისი უფლებების მხარდაჭერას ემსახურება, თუ დარღვეულია რომელიმე უფლება – მის აღდგენას და შესაბამისი სერვისების შეთავაზებას.“*

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც კოდექსი დაამკვიდრებს, მუნიციპალიტეტების როლის მნიშვნელოვანი ზრდაა. ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებული იქნება, განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (გააძლიეროს ან შექმნას), რომელიც ბავშვის მხარდაჭერისა და დაცვის პროგრამების მართვას, სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად და კოდექსის გათვალისწინებით, ადგილობრივ დონეზე განახორციელებს.

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ანა აბაშიძე** კოდექსს ზოგადად ძალიან პოზიტიურად აფასებს, მაგრამ გარკვეული საკითხები კითხვებს აჩენს.

„ის, რომ გვექნება სპეციალური ბავშვთა უფლებების კოდექსი, სადაც თავმოყრილი იქნება ბავშვთა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, ეს, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისითაც და მენტალურ დონეზეც, საზოგადოებისთვის ბევრის მთქმელია. პირველ რიგში, სპეციალური კანონის მიღებით ვაფიქსირებთ მზაობას, რომ ბავშვთა თემები ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კოდექსიც საკმაოდ საინტერესო, პრინციპულ შემოთავაზებებს აკეთებს – უპირველესად კანონმდებლობის რამდენიმე ნაწილში გვთავაზობს სიახლეს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და მხარს ვუჭერ. მაგალითად, ბავშვთა თემებზე მომუშავე ყველა ადამიანის სპეციალიზაცია, როგორც ვალდებულება. შესაბამისად, ამ მიმართულებით ვერავინ იმუშა-

ბავშვის უფლებათა კოდექსი

ვებს, თუ ის სპეციალიზებული არ იქნება ბავშვთა უფლებებში. ეს, თავისთავად, გაზრდის მუშაობის ხარისხს, ამის საუკეთესო მაგალითია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. ასევე მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბავშვთა უფასო იურიდიული კონსულტაციები/დახმარება და ა.შ. მაგრამ არის თემები, რომელიც ძალიან ზოგადია – მაგალითად, ბავშვთა სიღარიბის დაძლევა ან, თუნდაც, ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში, მეტიც, საკმაოდ დეკლარაციულია, უფრო მარტივად კი – არაფრის მთქმელი, არადა, ბავშვთა უფლებების სფეროში ოჯახების გაძლიერება სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. კოდექსში კონკრეტულად არ ჩანს, ვინ როგორ ეხმარება ოჯახებს გასაძლიერებლად და როგორ განსხვავდება ეს დახმარება არსებულისგან. შემიძლია იგივე ვთქვა ბავშვთა თავისუფლების ნაწილზეც. ბავშვის შეხედულებები, გამოხატვის თავისუფლება, შეკრება-მანიფესტაცია, გაერთიანების თავისუფლება – ეს ის თემებია, რომლის მაღალი სტანდარტით შემოღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს გადაგვაწყვეტინებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იმას, რომ ბავშვს არ აღვიქვამთ უფლების სუბიექტად. რეალურად, სწორედ აქედან მოდის ბავშვთა უფლებრივი პრობლემები – მას არ აღვიქვამთ თანასწორ მოქალაქედ. ეს ნაწილი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.“

რატომ ხდება ისე, რომ თითქოს ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ მაინც ვერ ვიცავთ ბავშვის უფლებებს? – ამის შესახებ ანა აბაშიძე ამბობს, რომ: *„ძალიან ყოჩაღები ვართ კანონების მიღებაში, თან პარლამენტი გაწაფულია დაწეროს ისეთი რეგულაცია, რომელიც კარგ იდეას შემოიტანს, მაგრამ პასუხისმგებლობას არავისთვის განსაზღვრავს. რასაც ვაკეთებთ, ეს არის საშუალება და არა მიზანი. თუმცა, მთავარია მიგვაღწევინებს თუ არა ეს ყველაფერი მიზანს, რომ ბავშვი დაცული იყოს ძალადობისგან, ოჯახი ისე გაძლიერდეს, რომ ბავშვი აღარ შიმშილობდეს. სწორედ ამ კუთხით უნდა შევაფასოთ სახელმწიფოს ქმედება. ცხადია, კოდექსის შემოთავაზებული ვერსია ამ პრობლემებს ვერ მოაგვარებს, მით უფრო, თუკი კონკრეტულ პასუხისმგებლობებს არ განსაზღვრავს სხვადასხვა უწყებების მიმართ. არც ფინანსურ დანახარჯებზეა საუბარი (ჩემი ინფორმაციით, განმარტებით ბარათში ფინანსურ დანახარჯებზე საერთოდ არაფერი წერია), რაც თავისთავად ბადებს ეჭვს. იმისთვის, რომ კოდექსი ეფექტური იყოს, აუცილებლად უნდა განისაზღვროს ბიუჯეტი, რომელიც კოდექსის აღსრულებისთვის იქნება გათვალისწინებული.“*

სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღების შემდეგ, ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტზე მუშაობა დასრულდება და ინიცირებული იქნება პარლამენტში შემდგომი განხილვებისა და მიღებისთვის. სავარაუდოდ, კოდექსს პარლამენტი 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიიღებს. ასევე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, დაგეგმილია კანონპროექტის საჯარო პრეზენტაციები, დისკუსიები სამოქალაქო საზოგადოებასა და ახალგაზრდებთან.

დისკუსია „დედა ენის“ გარშემო

სახელმძღვანელოს არჩევა კონკრეტული სკოლისა და მასწავლებლების უფლებაა

სკოლაში წასვლა და სწავლის დაწყება ადამიანის ცხოვრების, მისი პიროვნული განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. პატარები სიხარულითა და ინტერესით შეაბიჯებენ სკოლის კარში, მაგრამ ამ ნაბიჯებს სირთულეებიც ახლავს: 6-7 წლის ყმაწვილი აღმოჩნდება უცხო გარემოში, სადაც უცნობი ადამიანები, ურთიერთობის ახალი ფორმები, წესები, მოვალეობები და ა.შ. ხვდება. ის, თუ რამდენად უმტკივნეულოდ შეძლებს იგი ამ სირთულეებთან გამკლავებას, ახალ გარემოსთან შეგუება-ადაპტირებას, დიდწილად განაპირობებს მის შემდგომ დამოკიდებულებას არა მარტო სწავლისა და ცოდნის, არამედ ზოგადად საკუთარი საქმისადმი. სწორედ ამ დროს, სწავლის პირველ წლებში ხდება იმ უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევების განვითარებაც, რომლებიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდება (გამართული კითხვა, წაკითხულის გაგება-გააზრება, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება, ფაქტებისა და მოვლენების შეფასება, საკუთარი მოსაზრებების წარმოჩენა-დასაბუთება და ა.შ.). ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოები, რომლებითაც მოსწავლე იწყებს წერა-კითხვის სწავლას, უყალიბდება დამოკიდებულება ზოგადად წიგნისადმი და მასთან მუშაობის ჩვევები.

ალბათ ამითაა განპირობებული ის ინტერესი, რომელსაც საზოგადოება იჩენს სახელმძღვანელოების მიმართ. ამაზე საუბრობს ყველა: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, ექსპერტი და ა.შ. მღელვარება მით უფრო გასაგებია იმიტომ, რომ ჩემი აზრითაც, სახელმძღვანელოების უმეტესობა (განსაკუთრებით საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა) კვლავაც საჭიროებს დახვეწას. არც ესაა გასაკვირი. სახელმძღვანელოს სრულყოფა საკმაოდ რთული პროცესია. ამას დრო, გამოცდილება, განუწყვეტელი მუშაობა და ცვლილება სჭირდება. გავიხსენოთ, რომ იაკობ გოგებაშვილმა თავისი „დედა ენის“ შექმნა-სრულყოფას რამდენიმე ათეული წელი შეალია და სანამ საბოლოო სახეს მიიღებდა, მასში არაერთი რედაქციული თუ კონცეპტუალური ცვლილება შეიტანა.

სახელმძღვანელოების პრობლემით დაინტერესება გასაგებია, მაგრამ გაუგებარია დაუსაბუთებელი პრეტენზიები და ხშირად კატეგორიული მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოების ერთი ნაწილისაგან მოდის. უკვე წლებია გაისმის ფრაზები: „გვართმევენ „დედა ენას!“, „ქართველი ბავშვების გადაგვარება უნდათ!“, „ჩვენ რა, ცუდად ვსწავლობდით?!“, „დავაბრუნოთ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლაში!“ და ა.შ. დარწმუნებული ვარ ამ მოსაზრებების მქონე ადამიანების გულწრფელობაში. თუმცა, ვფიქრობ, რომ მათ უმეტესობას შეხება არ აქვთ სწავლა-სწავლების პროცესთან (ამ შემთხვევაში, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გამოცდილება ან აკადემიურ წრეებთან მიკუთვნებულობა სულ სხვა რამაა), კარგად არ იცნობენ ამ პროცესის თანამდევ სირთულეებს და არა აქვთ დაწყებით კლასებში სწავლების პრაქტიკა. არც იმას უფიქრდებიან, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ წერა-კითხვა თვითონაც არ უსწავლიათ. სახელმძღვანელო „დედაენა“, რომლითაც საბჭოთა პერიოდში წერა-კითხვა ისწავლებოდა, მომზადდა ვ. რამიშვილის მიერ გოგებაშვილის მეთოდიკის მიხედვით. რაც შეეხება ი. გოგებაშვილის „დედა ენას“, იგი საბჭოთა პერიოდში უცვლელი სახით დაიბეჭდა დაახლოებით 35 წლის წინათ, თუმცა, სკოლებში სახელმძღვანელოდ არ დანერგილა. სკოლა, რომელიც ამ გამოცემას სხვა არსებულთან ერთად გამოიყენებდა, პროფესორ გურამ რამიშვილის საავტორო მეექვსე საშუალო სკოლა გახლდათ. როგორც იმ წლებში მეექვსე სკოლაში მომუშავე ერთ-ერთი მასწავლებელი, პედაგოგთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მივეკუთვნები, რომელსაც ამ სახელმძღვანელოსთან პრაქტიკული შეხება ჰქონდა. ამიტომაც კარგად ვიცნობ იმ სირთულეებს, რომლებიც ამ გამოცემით სწავლებას თან ახლდა. ასე რომ, თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. აქვე მოგახსენებთ, რომ ახლა არ ვისაუბრებ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მნიშვნელობაზე. ის ქართული კულტურის ნაწილია, ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი ტრადიციების გაგრძელება აუცილებელია. არ ვისაუბრებ არც გოგებაშვილის სწავლების მეთოდიკასა და სახელმძღვანელოს უნიკალურობაზე. ეს სხვა საგაზეთო წერილის თემაა. მინდა, მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რატომ არ მიმაჩნია სწორად სკოლებში ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ უცვლელი სახით სახელმძღვანელოდ შემოტანა.

ყველა ეპოქასა და საზოგადოებაში განათლებას სხვადასხვა მიზნებს უსახავდნენ. სახელმძღვანელო, ერთი მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და, მეორე მხრივ, ითვალისწინებდეს იმ ბავშვის ფსიქოემოციურ თუ ასაკობრივ თავისებურებებს, რომელიც მას მოიხმარს, სახელმძღვანელო მოსწავლეზე უნდა იყოს ორიენტირებული. თანამედროვე ცხოვრების ტემპი აჩქარებულია, ძალიან მკვეთრად იცვლება სკოლაში შემომსვლელი ბავშვების როგორც ფსიქოტიპი და ინტერესები, ისე მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამის გათვალისწინებით ნებისმიერი სახელმძღვანელო მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს. ეს კარგად ესმოდა თავად იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც წლების მანძილზე თავის „დედა ენაში“ არაერთი ცვლილება შეიტანა. პრაქტიკულად შეუძლებელია ასი წლის წინ შექმნილი, თუნდაც უნიკალური სახელმძღვანელოთი ვასწავლოთ წერა-კითხვა და საჭირო უნარ-ჩვევები განუვითაროთ თანამედროვე ბავშვს.

- იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ საკმაოდ ბევრია არქაიზმი, ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ენაში აღარ გამოიყენება. ამ მხრივ სახელმძღვანელო სერიოზულ რედაქტირებას მოითხოვს.
- რედაქტირებას მოითხოვს ლექსიკური მასალაც. ერთი მხრივ ბარბარიზმები, რომლებიც გვხვდება (მაგ; სტოლი, სტაქანი, შკაფი...) და მეორე მხრივ ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც თანამედროვე ბავშვისათვის არა მარტო უცხო, არამედ გაუგებარია (მაგ; ასასი, მამასახლისი...). წარმოიდგინეთ მოსწავლის მდგომარეობა წერა-კითხვის შესწავლის საწყის ეტაპზე, როდესაც ის ეცნობა ახალ ასო-ბგერას: მან უნდა შეძლოს ასოს ვიზუალური აღქმა, დამახსოვრება, მისი შესაბამის ბგერასთან დაკავშირება, ამოკითხვა, შემდგომ უკვე ნაცნობ ასო-ბგერებთან შერწყმა-გამთლიანება, მარცვლის, და ბოლოს სიტყვის ამოკითხვა. ამ დროს კი ამოკითხულ სიტყვათა დიდი ნაწილი მისთვის უცნობი და გაუგებარია. ეს ეწინააღმდეგება ი. გოგებაშვილის მეთოდიკას. მისი აზრით, ცუდია, როცა „ყმაწვილს სწავლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო საგანი“. კითხვის სწავლის პროცესში მას ასო-ბგერა უნდა მიეწოდოს სიტყვის საშუალებით და ეს სიტყვა ბავშვისთვის ნაცნობი და ახლობელი უნდა იყოს. მხოლოდ ასე „ყმაწვილი შეხედავს სწავლას, როგორც გონივრულ საგანს და წახალისდება...“. გოგებაშვილისავე აზრით, ახალი სიტყვა, ცნება ბავშვს უნდა მიეწოდოს კონტექსტის საშუალებით, რათა გაუმარტივდეს მისი მნიშვნელობის გაგება და დამახსოვრება. ტექსტში, რომლის მეშვეობითაც ასო-ბგერას შეისწავლის, ბევრი უცნობი სიტყვის არსებობა კიდევ უფრო ართულებს კითხვის სწავლის ისედაც რთულ პროცესს. ი. გოგებაშვილის მეთოდის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი კი სწორედ ისაა, რომ ბავშვისათვის იგი მაქსიმალურად გამარტივებული და სახალისო იყოს.
- არანაკლებ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ვიზუალური მასალა, ილუსტრაციები. მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ თავისი დროის მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულდა, შავ-თეთრი ილუსტრაციები არ/ვერ მიიზიდავს და დააკმაყოფილებს თანამედროვე პატარას.

იმ ადამიანების საყურადღებოდ კი, რომლებიც ღელავენ ი. გოგებაშვილის მეთოდის დაკარგვისა და მისი სახელმძღვანელოს იგნორირების გამო, მინდა ვთქვა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“, მისი მეთოდიკისა და მეცნიერული მიგნებების საფუძველზე შექმნილი თანამედროვე სახელმძღვანელო უკვე არაერთი წელია არსებობს. იგი გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტორს მიერ 2018 წელს (მანამდე 2009 და 2011 წწ.). ნლებია ამ სახელმძღვანელოთი ისწავლება წერა-კითვა საქართველოს არაერთ სკოლაში, მათ შორის იმ სკოლაში, სადაც მე ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. წელსაც ამ სახელმძღვანელოთი დავაწყებინეთ პატარებს წერა-კითხვის სწავლება. ეს სახელმძღვანელო გახლავთ „დედა ენის კვალზე“ (ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით) ნ. გორდელაძისა და გ. ჩხენკელის ავტორობით (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა). აღსანიშნავია, რომ ასეთი სათაური ავტორებს წიგნის კონსულტანტმა, ქ-ნმა ნინო რამიშვილმა შესთავაზა. ვფიქრობთ, იგი კარგად გადმოსცემს სახელმძღვანელოს არსს და მის მიმართებას გოგებაშვილის „დედა ენასთან“. „დედა ენის“ ამ განახლებულ გამოცემაში შეტანილია მხოლოდ ის აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც თანამედროვე ბავშვის ინტერესებს და დროის მოთხოვნებს ექვემდებარება.

სახელმძღვანელო (ისევე როგორც ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ საბოლოო გამოცემა) ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი, რომელსაც „ქართული ანბანი“ ჰქვია, მიჰყვება ი. გოგებაშვილის გამოცემას. უცვლელია ასოების გაცნობის რიგი, შენარჩუნებულია გოგებაშვილის პრინციპი მარტივიდან რთულისაკენ, როდესაც ყოველი წინა ასოს მოხაზულობა აადვილებს მომდევნოს შესწავლას და დამახსოვრებას. აღსანიშნავია, რომ მანამდე იაკობ გოგებაშვილის მეთოდის მიხედვით მომზადებულ არცერთ სხვა სახელმძღვანელოში არ იყო დაცული ასოების შემოტანის გოგებაშვილისეული რიგი. ძირითადად შენარჩუნებულია მთავარი სიტყვა, რითაც იხსნება ახალი ასო-ბგერა, ასევე სიტყვები და ფრაზები, რომლებიც კითხვაში სავარჯიშოდაა განკუთვნილი. შენარჩუნებულია გოგებაშვილისეული პრინციპი წერა-კითხვის ერთად სწავლებისა. შეცვლილია მხოლოდ სიტყვების მცირე ნაწილი სწორედ იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებსაც ბევრი უცხო სიტყვის ტექსტში არსებობა უქმნის მოსწავლეს. მაგალითად, ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ არსებული ფრაზა „იალბუზი მაღალია“ შეცვლილია ფრაზით „მთა მაღალია“. ავტორებმა გაითვალისწინეს, რომ პირველკლასელ მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმეტესობამ არ იცის რას ნიშნავს სიტყვა „იალბუზი“ და მასწავლებელს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა მისი მნიშვნელობის ასახსნელად (რომ ესაა კავკასიონის ქედის ერთ-ერთი მწვერვალის სახელწოდება, რას ნიშნავს მწვერვალი და ა.შ.). მოგვიანებით ამ სიტყვას გაეცნობიან მოსწავლეები, ოღონდ უკვე კონტექსტში მოწოდებულს, როდესაც ისინი შეისწავლიან ხალხურ ლექსს ვახტანგ გორგასალზე.

წიგნის მეორე ნაწილში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული გოგებაშვილისეული ტექსტუალური მასალა, რომელსაც ავტორებმა ჩაუტარეს აუცილებელი რედაქტირება და საკითხავი მასალა დაალაგეს თემატურად. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სახელმძღვანელოს დაემატა რამდენიმე კომპონენტი: მასწავლებლისათვის განკუთვნილი მეთოდური სახელმძღვანელო (მასწავლებლის წიგნი) და რვეულები მოსწავლეთათვის. მათგან ერთი დედანია, მეორე კი რვეული დამატებითი სავარჯიშოებისათვის, რომელშიც მოსწავლეები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, კლასში ვარჯიშობენ. სახელმძღვანელოსა და რვეულებში გამოყენებული საწერი ბადე გოგებაშვილისეულია და მისი ზომები ემთხვევა 1912 წლის გამოცემას. „დედა ენის“ მეორე ნაწილს „დედა ენის კვალზე“ დამატებული აქვს სავარჯიშოთა სისტემა, რომლებითაც შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. განახლებულ სახელმძღვანელოში შავ-თეთრი ილუსტრაციები შეცვლილია მხატვარ ნინო ჩაკვეტაძის ვიზუალურად ადვილად აღსაქმელი, მკაფიო და ამავდროულად თბილი, ფერადი ნახატებით.

სახელმძღვანელოში მასალა ისეა გათვლილი, რომ მასწავლებელს რჩება „თავისუფალი საათები“, რომლებიც მას შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებითა და საკუთარი შეხედულების მიხედვით გამოიყენოს.

წერილის ბოლოს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო „დედა ენის“ განახლებული გამოცემის ავტორებს, ქ-ნ ნინო გორდელაძესა და ქ-ნ გვანცა ჩხენკელს, ასევე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას, რომელთა ძალისხმევითაც საშუალება მოგვეცა, გვემუშავა ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელოთი.

ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძველზე შექმნილი კიდევ რამდენიმე სახელმძღვანელო არსებობს (მაგ; ვ. რამიშვილის „დედაენის“ განახლებული გამოცემა, მ. გოგავას რედაქტორობით გამოცემული „დედა ენა“). თუმცა, შესაბამისი გრიფის არქონის გამო შესაძლებელია მათი მხოლოდ დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოყენება.

აქვე დავძენ, რომ არსებობს სხვა მეთოდიკაზე აგებული სახელმძღვანელოებიც, რომლებიც სწავლების დაწყებით საფეხურზე გამოიყენება. სახელმძღვანელოს შერჩევა/არჩევა კონკრეტული სკოლისა და მასწავლებლების უფლებაა. არჩევანის თავისუფლება კი მხოლოდ მისასალმებელია. წარმატებებს ვუსურვებ ჩემს კოლეგებს მათ საქმიანობაში!

თამარ გუჯაბიძე
მეექვსე საავტორო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

პროფესია პედაგოგი

ქართველი მასწავლებლის პრესტიჟული ჯილდო

ლალი ჯელაძე

ქართველი მასწავლებელი **ზეინაბ მურჯიკნელი** იმ ათ პედაგოგს შორის აღმოჩნდა, რომლებიც პრესტიჟული გერმანული პრემიის, PASCH-ის მფლობელები გახდნენ. ინიციატივა PASCH – „სკოლები: მომავლის პარტნიორი“ 2008 წელს შემუშავდა და მასში ორი ათასზე მეტი სკოლა მონაწილეობს. პროგრამის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პრემიის პრეტენდენტად 62 კანდიდატი იყო წარმოდგენილი მსოფლიოს 35 ქვეყნიდან. PASCH-ის ჯილდო მიიღეს მასწავლებლებმა, რომლებიც ასწავლიან გერმანულ ენას, როგორც უცხო ენას და მოსწავლეებს ინტერკულტურულ ღირებულებებს უზიარებენ.

ინიციატივა „სკოლები: მომავლის პარტნიორები“ (PASCH) გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს ეკუთვნის. ინიციატივის მიზანია მსოფლიო პარტნიორული ქსელის შექმნა, მინიმუმ, 2000 სკოლას შორის და ამით ახალგაზრდებში ინტერესის გაღვივება გერმანიისა და მისი საზოგადოების მიმართ. PASCH-ის სკოლების ქსელში შედიან DSD-ს სკოლები (გერმანული ენის სადიპლომო სკოლები) და პროგრამა უზრუნველყოფს მონაწილე სკოლების გერმანული ენის მასწავლებლების დახმარებას კვალიფიკაციის ამაღლებაში მეთოდიკისა და დიდაქტიკის მიმართულებით, ასევე გასცემს სტიპენდიებს გერმანიაში საკვალიფიკაციო სემინარებში მონაწილეობისათვის; გერმანული ენის კაბინეტების აღჭურვას სახელმძღვანელოებით, ტექნიკითა და მედია საშუალებებით, ენის სწავლის ხელშემწყობი სხვადასხვა კულტურული პროექტების განხორციელებას სკოლებში. PASCH-ის სკოლაში, ქართველ მასწავლებლებთან ერთად, გერმანელი მასწავლებლებიც მუშაობენ. საქართველოში ამ ინიციატივაში სულ ცამეტი სკოლაა ჩართული.

„უდიდესი სამსახიობო ნიჭით, შემოქმედებითობითა და გერმანული ენის გასაოცრად კარგი ცოდნით, თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა 2018 წლის 19 დეკემბერს, წარმოადგინეს ძმები გრიმების გერმანულენოვანი ზღაპარი „ქალბატონი ჰოლე“.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ სკოლას სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა: გერმანიის ელჩის მეუღლემ, ქალბატონმა ევა ქნირშმა და საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყების (ZfA) კონსულტანტ-კოორდინატორმა, ქალბატონმა ანგელა შმიდტმა, PASCH-მასწავლებელთა პრემია გადასცეს გერმანული ენის მასწავლებელს (და აღნიშნული სპექტაკლის რეჟისორს), ქალბატონ ზეინაბ მურჯიკნელს.

PASCH-ინიციატივის ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, აღნიშნული პრემია მსოფლიოში 10 მასწავლებელს გადაეცა. ამ პრემიით დაფასდა ქალბატონი ზეინაბის მიერ მისი სკოლისა და გერმანული ენისათვის გაწეული შრომა.

მერვეკლასელების თეატრალური წარმოდგენა „ქალბატონი ჰოლე“ ქალბატონი ზეინაბის ნიჭის ერთ-ერთი მცირე მაგალითია, თუ როგორ შეუძლია მას მოსწავლეებს შეაყვაროს გერმანული ენა.

ჩვენ მოხარულები ვართ, რომ გერმანული ენის ქართველმა მასწავლებელმა, ქალაბატონმა ზეინაბ მურჯიკნელმა მოიპოვა PASCH-მასწავლებელთა პრემია და მადლობას ვუხდით გერმანული ენის ყველა მასწავლებელს მათი მოღვაწეობისთვის!“ – ეს ინფორმაცია გერმანიის საელჩომ საქართველოში საკუთარ ფეისბუქგვერდზე გაავრცელა.

პრემიაზე კანდიდატი მასწავლებლის წარდგენა მხოლოდ კოლეგებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ, მათ უნდა წარადგინონ მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა და დაასაბუთონ, რატომ იმსახურებს შერჩეული კანდიდატი ამ ჯილდოს. პირველმა ექსპერიმენტულმა სკოლამ, გასულ წელს, არჩევანი **ზეინაბ მურჯიკნელზე** გააკეთა და სრულიად სამართლიანად.

პრემიის მფლობელმა მასწავლებელმა, თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში, გერმანული ენის მასწავლებლად მუშაობა ცხრა წლის წინ დაიწყო და DSD-ს პროგრამაში სკოლაში მისვლისთანავე ჩაერთო. თუმცა, როგორც გვითხრა, ჯილდო მისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა, რადგან არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ სკოლამ პრემიაზე წარადგინა. წლის ბოლოს, საშობაო სპექტაკლის სანახავად მისულმა გერმანიის ელჩის მეუღლემ, ქალბატონმა **ევა ქნირშმა** და DSD-ს პროგრამის კონსულტანტ-კოორდინატორმა, ქალბატონმა **ანგელა შმიდტმა**, წარმოდგენის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულ მასწავლებელს სასიხარულო ამბავი თავად შეატყობინეს და ჯილდოც გადასცეს.

„უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 10 წელი ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სამხედრო კათედრაზე ვმუშაობდი. სკოლაში როცა მივედი, გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა (DSD) უკვე დაწყებული იყო, შესაბამისად, 2010 წლიდან, მეც ფეხდაფეხ მივყვები პროგრამას.“ – ამბობს ქალბატონი ზეინაბი.

DSD-ს პროგრამაში, ქვეყნის მასშტაბით, 10 სკოლა ფუნქციონირებს და პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, მეცხრე და მეთორმეტე კლასების დასრულების შემდეგ, ორი დონის დიპლომი მოიპოვონ. ქალბატონი ზეინაბი გვიყვება, რომ პროგრამის მონაწილე მოსწავლეებმა გამოცდებზე კარგი შედეგები აჩვენეს: *„ჩვენს სკოლაში პროგრამა მესამე კლასიდან იწყება. მეცხრე კლასში ბარდება პირველი სადიპლომო გამოცდა. წერითი გამოცდის საგამოცდო მასალა შესასწორებლად გერმანიაში იგზავნება, ხოლო ზეპირ გამოცდას ქართველი და გერმანელი მასწავლებლები სკოლაში იბარებენ.*

პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში პირველი საფეხურის DSD-1-ის გამოცდა 2017 წელს ჩატარდა. პროგრამის კონსულტანტ-კოორდინატორის, ანგელა შმიდტის შეფასებით, სკოლამ საუკეთესო შედეგები აჩვენა როგორც 2017, ასევე, 2018 წლებში. გერმანული ენის მეორე საფეხურის (DSD-2) გამოცდას ჩვენი მოსწავლეები 2020 წელს ჩააბარებენ.“

გერმანული ენის დიპლომის მეორე საფეხური (DSD-2), გერმანიის კულტურის მინისტრების მუდმივმოქმედი კონფერენციის (KMK) გადაწყვეტილების თანახმად, გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლისთვის საჭირო გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთია.

ზეინაბ მურჯიკნელი: *„რადგან გერმანული ენის სწავლება DSD-ს სკოლებში გაძლიერებულია, სწავლების პროცესში სხვადასხვა აქტივობებს ვიყენებთ. ჩვენი გაკვეთილები ძალიან მრავალფეროვანია – ვდგამთ სპექტაკლებს, ვაწყობთ ღონისძიებებს, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შიდასასკოლო და საერთაშორისო კონკურსებში და ა.შ. ამჯერადაც საშობაო ღონისძიებებში ჩავერთეთ და 19 დეკემბერს, სპექტაკლის სახით წარმოვადგინეთ ზღაპარი „ქალბატონი ჰოლე“. სპექტაკლს სიურპიზი მოჰყვა – სკოლაში მობრძანდა ელჩის მეუღლე ქალბატონი ქნირში და DSD-ს პროგრამის კონსულტანტ-კოორდინატორი ანგელა შმიდტი. სწორედ მათ გადმომცეს ჯილდო, რომელზეც ერთი წლის წინ ვყოფილვარ ნომინირებული. როგორც მერე მითხრეს, PASCH-ის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში წარდგენის შემდეგ, ჩემ შესახებ გამოკითხეს კოლეგები, შემდეგ გერმანიაში გაგზავნეს ინფორმაცია – არა მარტო ტექსტები, არამედ ჩემი მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ვიდეომასალაც, რაც წლების განმავლობაში მაქვს გაკეთებული. ასევე, გამოკითხეს მოსწავლეები, გერმანელი კოლეგა **ლიზა ლინტცენი**, რომელიც 2013 წლიდან ასწავლის ჩვენს სკოლაში გერმანულ ენას.*

იუნესკოს ეგიდით ყოველწლიურად, PASCH-სკოლებში (საქართველოში 13 PASCH სკოლაა, აქედან 10 DSD-ს სკოლა, 2 – გოეთეს ინსტიტუტის სკოლა და 1 – ინტერნაციონალეშულე) ჩამოდიან მოხალისეები გერმანიიდან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, ხელმძღვანელობენ მოსწავლეთათვის განკუთვნილ სხვადასხვა სასწავლო პროექტებს და აქტივობებს. როგორც შევიტყვე, ყველა ყოფილი და ამჟამინდელი მოხალისე იქნა გამოკითხული ჩემ შესახებ (ეს იყო ანონიმური გამოკითხვა). სპექტაკლი კი, უბრალოდ, სკოლაში მობრძანების და პრემიის გადმოცემის მიზეზი იყო. მოვხვდი მსოფლიო მასშტაბის ათეულ მასწავლებელთა რიცხვში, რაც, ბუნებრივია, ძალიან მახარებს. ჩემი ჯილდო არ ეხება რომელიმე კონკრეტული კლასის შედეგებს, არამედ – მთლიანად ჩემს მოღვაწეობას, ეს იყო წლების განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება. პირველი ვარ საქართველოდან, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო და, ბუნებრივია, ძალიან მახარებს ჯილდოც და ისიც, რომ DSD-ს სკოლაში ვასწავლი. ეს წარმატება თითოეული ჩემი კოლეგის, მოსწავლის და სკოლის დამსახურებაა, რადგან მათ გარეშე ვერაფერს შევძლებდი.“

რა იქნება შემდგომი ეტაპი? ამ კითხვას ქალბატონი ზეინაბი პასუხობს, რომ ჯილდო მუშაობის სტილში არაფერს ცვლის, იმის გარდა, რომ მისი მოტივაცია კიდევ უფრო გაიზარდა: *„რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ვაგრძელებ მუშაობას და ბავშვები მიგვყავს მიზნამდე. ჩვენი მიზანი კი ერთია, რაც შეიძლება მეტმა მოსწავლემ აიღოს DSD-ს დიპლომი. DSD I დიპლომით, რომელსაც მეცხრე კლასში იღებენ, მოსწავლეები შეძლებენ გერმანიის კოლეჯებში სწავლის გაგრძელებას, ხოლო DSD II დიპლომით კი – უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებას.“*

ჰყავს თუ არა პროგრამას ბევრი მსურველი და უზრუნველყოფს თუ არა ყველას მიღებას სკოლა – ამის შესახებ ქალბატონი ზეინაბი ამბობს, რომ დასაწყისში, პროგრამაზე ასეთი მოთხოვნა არ იყო, თუმცა, ახლა მსურველ მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. *„მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლა ერთ-ერთი მრავალკონტინგენტიანი სკოლაა, საქართველოს მასშტაბით – 2500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს. რა თქმა უნდა, პროგრამა ვერ დააკმაყოფილებს ყველა მსურველს, რადგან სკოლის გამტარიანობა არ გვაძლევს ამის საშუალებას, ვგულისხმობ შენობას. 2010 წელს, პროგრამაში, რვა პარალელური კლასიდან, სამი ჩაერთო. ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც მშობლებმა ჩვენი მუშაობის შედეგი დაინახეს. როგორც გითხარით, შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავია. იმის გარდა, რომ მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებს ვიყენებთ, პროგრამა აქტიურად ზრუნავს მასწავლებლის განვითარებაზეც – კვალიფიკაციას გერმანიაშიც ვიმაღლებთ. მე, პირადად, სამჯერ ვიყავი გაგზავნილი პროგრამის მიერ და იქაურ სკოლაში გავდიოდი პრაქტიკას, რომ იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს გაკვეთილებზეც დამენერგა და კოლეგებისთვისაც გამეზიარებინა.“*

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, დაფუძნებულია საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. *„მოსწავლეებს ყოველი წლის ბოლოს შემაჯამებელ ტესტს ვაწერინებთ ან ეს შეიძლება გამოცდის სახით მოხდეს. რადგან მოსწავლეთა პირველი შეფასება მეხუთე კლასიდან იწყება, სწორედ მაშინ ხდება პირველი დონის დადგენა (A1). ჩვენ ამას „ვარსკვლავების თამაშს“ ვეძახით. საბოლოო ჯამში კი, მოსწავლე დიპლომებით ფასდება, რომელსაც ვადა არ აქვს. რაც მთავარია, სწავლების მეთოდი შემუშავებულია ისე, რომ წარუმატებლობის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი.“* – ამბობს ქალბატონი ზეინაბი.

PASCH-ის პრემიის მფლობელი მასწავლებელი, წარმატების მისაღწევად, პირველ რიგში, თვითონ მასწავლებლის მოტივირებას მიიჩნევს, რადგან სხვაგვარად არც მოსწავლე ეყოლება მოტივირებული. ამის გარდა, ამბობს, რომ: *„უნდა ისწრაფოდეს მიზნისკენ, რომელიც დასახული აქვს, მიზნის მიღწევა კი შედეგებზე ორიენტირებული სწავლებითა და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღწევა, რომელიც აუცილებლად მოსწავლეზე მორგებული უნდა იყოს და არა ერთპიროვნულად გადაწყვეტილი.“*

 თვალსაზრისი

სამი საკითხი განათლების რეფორმის ფარგლებში

მასწავლებელი მუდმივად რომ უნდა იმაღლებდეს კვალიფიკაციას, ამაში არავის ეპარება ეჭვი და სერტიფიცირებაც რომ აუცილებელია, ესეც გასაგებია, მაგრამ ამჟამად მკითხველის ყურადღება სამ გარემოებაზე გვინდა შევაჩეროთ.

უმაღლესდამთავრებული პედაგოგებისთვის მაგისტრის ხარისხის მინიჭება უდავოდ იყო პედაგოგთა დიდი დაფასება, მაგრამ, შემდეგ, პედაგოგთა სტატუსის განსაზღვრისას, მაგისტრებისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება არა მარტო დამამცირებელი, არამედ აბუჩად ამგდებიც აღმოჩნდა. ეს განცდა პედაგოგებს დღესაც სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებთ. უფრო კონკრეტულად: მაგისტრი მასწავლებელი, რომელსაც 5-წლიანი უმაღლესი განათლება და შესაბამისი დიპლომი აქვს, ასევე – 20-30 წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკოს მასწავლებლად ითვლება. პრაქტიკოს მასწავლებლად ითვლება ისიც, ვისაც, ასევე, 20-25 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს, მაგრამ საშუალო განათლებით, ტრაქტორისტის ან ავტომძღოლის პროფესიას ფლობს.

როგორ შეიძლება ბაკალავრი უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსს ატარებდეს, ხოლო მაგისტრს მხოლოდ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდეს? აქ არ არის საუბარი ხელფასზე. მოკრძალებული მასწავლებელი ეკონომიკურ გაჭირვებას ეგუება, მაგრამ ვერ ეგუება იმას, რომ უარყოფდნენ დიპლომს, რომლის მოპოვებასაც მან მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია მოახმარა. უფრო მეტსაც ვიტყვი. სწორედ ეს, ძველი თაობის პედაგოგები არიან სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი წარმმართველნი. შეიძლება ახალგაზრდებს არ მოეწონოთ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ასეა.

სკოლის დირექტორის მოადგილედ მუშაობის პერიოდში, დაწყებითი კლასების მეთოდისტად გამოგზავნილმა ახალგაზრდამ მკითხა: სკოლაში ცარცი მე უნდა მოვიტანო თუ სკოლაა ვალდებული, ცარცი იქონიოსო. უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ჩემს მოთხოვნაზე გაცნობოდა პროგრამას, რომლითაც უნდა ემუშავა, უარი მითხრა. რჩევა ტელეფონით განათლების სამინისტროს ჰკითხა, იქიდანაც იგივე უპასუხეს – თუ შენი პროგრამა დირექტორს გააცანი, სასწავლო დარგის ხელმძღვანელი რაღა საჭიროაო. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ სკოლა აზერბაიჯანულენოვანი იყო და დირექტორმა ქართული საერთოდ არ იცოდა, ცხადია, პროგრამასაც ვერ გაეცნობოდა. მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში მის საქმიანობაში არავინ ჩარეულა.

მეორე მაგალითი: ამავე სკოლაში, ამავე მიზნით მოსული მეორე ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც ზუსტად ვერ დაასახელა რომელი სასწავლებელი დაამთავრა და რა სპეციალობა მიიღო, ნერვიულობას ვერ მალავდა: მე აქ მხოლოდ ოთხი თვით ვარ მოსული და ამ საქმიანობას გავაგრძელებ თუ არა არ ვიციო.

კიდევ ერთი მაგალითი: საზღვარგარეთის სკოლებში ბაკალავრებს საერთოდ არ აქვთ სკოლებში შესვლის უფლება (მხედველობაში მაქვს ევროპის სკოლები), ჩვენთან კი ისინი უფროსი და წამყვანი მასწავლებლები ხდებიან.

ახლა დავსვათ კითხვა: 2-3-თვიანი ტრენინგების გავლილ ბაკალავრებს მეთოდისტობა, უფროსი, წამყვანი მასწავლებლობა ეკუთვნით და უმაღლესის დიპლომის მქონე მაგისტრ პედაგოგს პრაქტიკოსი მასწავლებლობა?

ჩემი აზრით, მეტად სამართლიანი და ჰუმანური გადაწყვეტილება იქნება, თუ მაგისტრ და გარკვეული სტაჟის მქონე მასწავლებლებს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭებათ.

მეორე საკითხი. სკოლებში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. იქ, სადაც პედაგოგები შინაგანად გრძნობენ ამის საჭიროებას, მართლაც საქმიანი, პროფესიული სჯაბაასი მიმდინარეობს, მაგრამ სკოლების უმრავლესობაში ეს პროცესი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მიმაჩნია, რომ თუ კათედრები საჭიროა, მაშინ მათ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, გარკვეული ხელფასი უნდა დადგინდეს კათედრის გამგეებისათვის თუ არა და, ყველაფერი უშინაარსო ფაცი-ფუცია.

რაც შეეხება მესამე საკითხს, ეს გახლავთ მასწავლებელთა სტატუსის განსაზღვრა.

მე მომწონს მასწავლებელთა ტრენინგები და სიამოვნებითაც გავდივარ გარკვეული პერიოდულობით, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ არის პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მით უმეტეს იმ ცოდნის დასაგროვებლად, რომელიც აუცილებელია მასწავლებლის შემდგომი წინსვლისათვის.

განათლების სამინისტროსთან ფუნქციონირებს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრი. ძალიან კარგი იქნება, თუ სწორედ ეს უწყება და არა ეროვნული გამოცდების ცენტრი იკისრებს მასწავლებელთა სერტიფიცირებას. მხედველობაში მაქვს 4-6-თვიანი ტრენინგების შემდეგ, მსმენელთა გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, პედაგოგისთვის შესაფერისი სტატუსის მინიჭება.

ჩვენ მომხრენი ვართ პრინციპისა: მასწავლე და ჩაგაბარებ და არა – მოდი კომპიუტერთან და ჩამაბარე.

რაინდი ასლამაზაშვილი
დმანისის რაიონის ჯავახის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

ინფორმაცია

მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების რეალიზებისთვის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა** სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს.

✓ **„დღიურების კონკურსში“**, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, საქართველოს საჯარო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ჟიურიმ, საფინალო 216 ნამუშევარიდან, სამი საუკეთესო გამოვლინა: პირველი ადგილის მფლობელები ასპინძის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელები – **მარიამ ქავთარაძე** და **თამარ ციხელაშვილი** გახდნენ; მეორე ადგილი რუსთავის №17 საჯარო სკოლის მეათეკლასელმა **გიორგი ნატროშვილმა** დაიკავა, მესამე – მარნეულის №1 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა **ხანუმ მამედოვმა**.

✓ ანიმაციური ვიდეორგოლების კონკურსი **„გაცოცხლებული სურათები“** ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

107 საფინალო ნამუშევრიდან:

• *პირველ ასაკობრივ* კატეგორიაში, პირველი ადგილი თბილისის №147 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ, **ვახტანგ კუჭავამ** დაიკავა; მეორე – თბილისის №138 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, **ირაკლი ჯორჯაძემ** და თბილისის №106 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ, **გიორგი ყამბარაშვილმა;** მესამე – რუსთავის №15 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა: **ნიკოლოზ ყიფშიძემ**, **მარიამ მიქაუტიძემ**, **ლუკა გოგატაძემ**, **ლიზი მეტრეველმა**, **ანი ხაჩიძემ**, **ანა კენჭაძემ** და **მარიამ ქიმაძემ**.

• *მეორე ასაკობრივ* კატეგორიაში პირველი ადგილი ქუთაისის №31 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, **კობა სინაურიძემ** დაიკავა, მეორე – ქუთაისის №14 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა – **მარიამ კიკნაძემ** და **ნათია ბუხრაშვილმა**, მესამე ადგილი – კლასიკური გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლემ, **დავით ქებაძემ** და ხაშურის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ, **იოსებ მულაძემ**.

✓ კონკურსის შედეგად გამოვლინდა, ასევე, **„ჟიურის რჩეული“** – თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე **ქეთევან ცინცაძე**; **„ორიგინალური იდეა“** – ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე **პაატა გელაშვილი** და მე-8 კლასის მოსწავლე **ანა გოგოლაური**; **„ახალგაზრდა ანიმატორი“** – რუსთავის №7 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **იმედა აფციაური**; **„საუკეთესო სიუჟეტი“** – დუშეთის სოფელ არაგვისპირის სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე **მაკა ინიაშვილი**.

„მსგავსი კონკურსები უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარებისა და ნიჭის რეალიზებისთვის, ასევე სკოლების წარმატების გამოვლენისა და დაფასებისთვის. ჩემს კოლეგებთან და სამინისტროსთან ერთად, დაწყებული მაქვს დისკუსია, თუ როგორ შევუწყოთ ხელი სამინისტროს ეგიდით, ეროვნულ დონეზე ჩატარებულ კონკურსებსა და, ასევე, საერთაშორისო დონის კონკურსების გამარჯვებულ მოსწავლეებს ამ გამარჯვებების აკადემიურ შეფასებებში ასახვაში.

გარდა იმ სერტიფიკატებისა და ჯილდოებისა, რომელსაც გამარჯვებული მოსწავლეები იღებენ, მათ სჭირდებათ დამატებითი სტიმული, რომელიც შეიძლება საგამოცდო შეფასებებში აისახოს როგორც სკოლის, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების პროცესში. ეს მსჯელობის საკითხია. დღეს კი, მოსწავლეებს ვულოცავ ამ მნიშვნელოვან კონკურსში გამარჯვებას“ – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეებს სამახსოვრო დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

 პროფესიონალთა კლასი

მეცნიერი პედაგოგის ალიარება

პროფესორ ნოდარ ბასილაძეს პედაგოგიური საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მას 55 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი აქვს, აქედან 49 წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ჯერ სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ კი – უნივერსიტეტში. იგი 30 წიგნისა და სახელმძღვანელოს, 140 სამეცნიერო ნაშრომისა და 500-მდე პუბლიცისტური წერილის, ნარკვევისა და სტატიის ავტორია. არის მრავალი სიგელის, ჯილდოსა და რეგალიის მფლობელი: ღირსებისა და ი. გოგებაშვილის მედლების კავალერი, ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქედის საპატიო მოქალაქე და სხვა. მაგრამ ბატონი ნოდარი ყველაზე მეტად ცნობილია პედაგოგიური საზოგადოებისათვის, როგორც მე-20 საუკუნის დიდი უკრაინელი კლასიკოსი პედაგოგის, ვასილ სუხომლინსკის მკვლევარი, რომელსაც, პირველმა საქართველოში, მიუძღვნა თავისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები პედაგოგიკაში, ასევე 5 წიგნი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 100-ზე მეტი საგაზეთო წერილი ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე. ამიტომაც იყო, რომ ახლახან, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ვ. ა. სუხომლინსკის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, იგი დიდი პედაგოგის საპატიო სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა, რაც ღვაწლმოსილი მეცნიერის კიდევ ერთი დიდი აღიარება და დაფასებაა.

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ქოსოფელში, ზნეკეთილობით გამორჩეულ მრავალშვილიან ოჯახში. ამავე რაიონის მახუნცეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1958 წელს, შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწოფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე. იყო წარჩინებული სტუდენტი, ნ. ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტი, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და კონფერენციების მუშაობაში.

1963 წელს ბატონმა ნოდარმა წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მიენიჭა რუსული ენა-ლიტერატურისა და გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. შემდეგ განაწილებით მუშაობდა ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის მუნიციპალიტეტი) ინწკირვეთის, ქედის რაიონის უჩხითის, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საშუალო, ამავე რაიონის სოფელ ინჯალოს და ქობულეთის რაიონის სახალვაშოს 8-წლიან სკოლებში რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად.

1969 წელს ნოდარ ბასილაძე მიიწვიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფასიქოლოგიის კათედრის მასწავლებლად, დოცენტ მარია მიკულინსკაიას ნაცვლად, რომელიც მოსკოვში დოქტორანტურის კურსს გადიოდა. ამ უკანასკნელის დაბრუნების შემდეგ, 1973-1979 წლებში, იგი მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ბათუმის ინსტიტუტში, ჯერ პედაგოგიკის მეთოდისტად, შემდეგ კი პედაგოგიკის კაბინეტის გამგედ, პარალელურად, კითხულობდა ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში, საათობრივი ანაზღაურების წესით, 1979 წლის ბოლოს კი, საბოლოოდ დამკვიდრდა პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე. იყო მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 2009 წლიდან 2018 წლამდე კი – უნივერსიტეტის პროფესორი. ამჟამად იგი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორია.

სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, ბატონი ნოდარი ეწევა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას: წლების განმავლობაში იყო პედაგოგიკის კათედრის გამგის მოადგილე, კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ზნეობრივი აღზრდის კომისიას, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველად ორგანიზაციას, ამავე საზოგადოების მშობელთა შორის მუშაობის სექციას, იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს წევრი, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცია; იყო რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი (შემფასებელი) და ექსპერტი, 50-მდე წიგნის რეცენზენტი და რედაქტორი; ბევრმა მისმა ყოფილმა სტუდენტმა მომავალ სამოქმედო საქმიანობად პედაგოგიკა აირჩია. ამჟამად მარტო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 3 მისი ყოფილი სტუდენტი არის პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

მისი ავტორობით გამოცემულ წიგნებს შორის გამორჩეულია: „სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში (1921-1981წწ.)“, „ოჯახი და ბავშვის აღზრდა“, „ვ.ა. სუხომლინსკი – ჩვენი თანამედროვე“, „ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები უმცროსკლასელებში ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“ (საკანდიდატო დისერტაცია), „ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა“ (სადოქტორო დისერტაცია), „ჰუმანიზმის პედაგოგიკა“, „ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან“, „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის“, „ქართული პედაგოგიკის ისტორია“, „პიროვნების განვითარება და თვითაღზრდა“, „ნოდარ დუმბაძის პედაგოგიკური შეხედულებანი“, „ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის საკითხები“, „ერისა და ქვეყნის მსახურნი“, „უჩინარი მხვნელ-მთესველნი გონებრივი ყანისა“, „პედაგოგიკური კვლევის მეთოდები“, „პედაგოგიკა“ და სხვები.

სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, ბატონი ნოდარი ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწევა. 1996 წელს გამოვიდა მის მიერ რუსული ენიდან თარგმნილი ვ. სუხომლინსკის პოპულარული წიგნი „წერილები ვაჟიშვილს“; 2008 წელს – გერმანული ენიდან თარგმნილი იუმორისტული მოთხრობების კრებული „მუსიკა მეზობლის ოთახიდან“; 2009 წელს – ალექსეი დოროხოვის „როგორ მოვიქცეთ (საუბარი თავაზიანობასა და ქცევის წესებზე)“; ხოლო 2014 წელს – რუსული და გერმანული ენებიდან თარგმნილი, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისადმი მიძღვნილი, მოთხრობების კრებული „პატიოსანი სიტყვა“. ამავე წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „გულის კარნახით“.

ყოველივე აღნიშნულის ლოგიკური შედეგია ის საპატიო ჯილდოები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. რაც შეეხება ვ. სუხომლინსკის სამკერდე ნიშანს, იგი მსოფლიოშიც კი თითებზე ჩამოსათვლელ მეცნიერ-პედაგოგს თუ აქვს მინიჭებული, ხოლო საქართველოში ეს პატივი მხოლოდ მას ხვდა წილად.

შემოქმედებით წარმატებებს და ხანგრძლივ სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ, სამწერლო მოღვაწეობას ვუსურვებთ ბატონ ნოდარს.

აკაკი ზოიძე
საქართველოს ი. გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ბარამიძე
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

სერგო დუმბაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

მშობელთა კრება

სკოლა და მავნე გავლენები

სკოლაში, ბევრ კარგთან ერთად, ბავშვები ცუდსაც სწავლობენ, უმთავრესად – სხვა ბავშვების გავლენით.

პირველი კლასი, პირველი სასკოლო წლის დასაწყისი (განსაკუთრებით – პირველი 6 თვე), არც ისე მარტივია. ეს არის ახალ ცხოვრებასთან, ახალ როლთან შეგუების პერიოდი. თუ ამ გამოსაცდელმა ვადამ ჩაიარა და ბავშვს მაინც დარჩა პრობლემები, შესაძლოა კომპლექსებით დაიხუნძლოს. თანამედროვე პირველკლასელები, ინტელექტუალური თვალსაზრისით, შედარებით მომზადებულები შედიან სკოლაში – მათმა დიდმა ნაწილმა უკვე იცის წერა, კითხვა, ანგარიში, კომპიუტერით სარგებლობა. სწორედ აქ იჩენს თავს პირველი პრობლემა – ეჩვენებათ, რომ ახალს ვერაფერს ისწავლიან და სასარგებლო ინფორმაციის მიღებას სხვაგანაც შეძლებენ – ტელეეკრანიდან, კომპიუტერიდან, საუბრებიდან შინ თუ გარეთ. თუ სწორედ ამ მომენტში ვერ შეძელით მათი დაინტერესება სასწავლო პროცესით, შესაძლოა ბავშვს პასიური დამკვირვებლის კომპლექსი მთელი ცხოვრება გაჰყვეს. ის იძულებული იქნება, იჯდეს კლასში, სასწავლო მერხთან, მაგრამ იყოს „თამაშგარე მდგომარეობაში“, არაფერში მონაწილეობდეს და მხოლოდ ზარის დარეკვას ელოდოს ან სხვა რამით გაერთოს. მეორე პრობლემა – ზოგიერთი ბავშვი ვერ ეგუება სასკოლო ცხოვრების მკაცრ ჩარჩოებს (განსაკუთრებით უჭირთ ისეთ ბავშვებს, რომლებიც პირველად ხვდებიან ბავშვთა კოლექტივში). არ გამოსდით ურთიერთობა პედაგოგთან, პედაგოგებს კი სჩვევიათ, ასეთი ბავშვები ზარმაცებად, ცუდად აღზრდილებად, უნიჭოებად ჩათვალონ. ბავშვებს არ ესმით, რას მოითხოვენ მათგან. არც თანაკლასელებთან ურთიერთობა გამოსდით. ჩნდება ურთიერთობის შიში, იმის განცდა, რომ სხვებს არ უნდათ მასთან ურთიერთობა. თუ ეს დიდხანს გაგრძელდა, ჩამოყალიბდება კლასიკური წარუმატებელი, უიღბლო ადამიანის კომპლექსი, რომელიც მარტოობისკენ მიისწრაფვის.

მეორე კლასი. სკოლის მასწავლებლის მთავარი იარაღია შეფასება. ეს არის წარმატებისა თუ ჩავარდნის ერთადერთი მაჩვენებელი. „ხუთიანებისთვის“ აქებენ, „ორიანებისთვის“ მშობლებს იძახებენ, „სამიანებისთვის“ პირობას ართმევენ, რომ გამოსწორდება... როდესაც მასწავლებელი უკან აბრუნებს საშინაო დავალების ან საკონტროლოს რვეულს, ბავშვს ყველაზე მეტად აშინებს დაუნდობელი წითელი ფერის შესწორებები და ცუდი ნიშანი. ასე ვითარდება „შეცდომის დაუშვებლობის კომპლექსი“, როცა ადამიანს მთელი ცხოვრება თან სდევს შიში, არასწორი ნაბიჯი არ გადადგას. „ოროსანი“ და „ხუთოსანი“ – ეს არის სკოლაში აკიდებული იარლიყი, რომელიც ხშირად მთელი ცხოვრება რჩება. არავინ იცის, ვის უფრო უმძიმს ცხოვრება – „ოროსანს“, დარწმუნებულს, რომ არავითარ მცდელობას აზრი არ აქვს, მაინც ვერ მიაღწევს წარმატებას (რასაც ხელს უწყობს ზოგიერთი მასწავლებელი, რომელიც შეფასებებს ინერციით წერს) თუ „ხუთოსანს“, რომელიც მთელი ცხოვრება კანიდან ძვრება, რომ საზოგადოების მოლოდინი გაამართლოს. ასეთი ადამიანები ყველაზე მეტად არიან დამოკიდებული სხვების აზრზე.

მეხუთე კლასი. კომპლექსები სხვადასხვაგვარად ვლინდება. არ არის აუცილებელი, ბავშვს ეგონოს, რომ ის სხვაზე უარესია, ისეც ხდება, რომ მას თავი ყველაზე უკეთესი, გამორჩეული, სრულყოფილი ჰგონია და მთელი ცხოვრება უკვირს, რატომ ვერ ამჩნევენ ამას სხვები. ამ გადაჭარბებული თვითშეფასების საფუძველი სკოლის ასაკში უნდა ვეძებოთ. ისე ხდება, რომ უმცროს კლასებში ბავშვი ყველა საგანში თავს იჩენს, კარგი ყოფაქცევით გამოირჩევა, ხმამაღლა და გამოთქმით კითხულობს ლექსებს და პედაგოგიც გამუდმებით აქებს, სამაგალითოდ ჰყავს. შემდგომ, უფროს კლასებში, მოთხოვნათა სისტემა იცვლება, მოდიან ახალი პედაგოგები, რომლებიც ვერ იცლიან, რომ თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად მიუდგნენ, ყოფილი „სამაგალითოც“ ვეღარ გამოირჩევა და იქმნება შინაგანი კონფლიქტი. ის მიჩვეულია, „პირველი“ და „საუკეთესო“ იყოს, მაგრამ ამას ვეღარ ახერხებს, ვერც თავის პრეტენზიულობას ელევა. ფსიქოლოგები ამ შფოთვას და დაძაბულობას „არაადეკვატურობის აფექტს“ უწოდებენ. ასეთი ბავშვები ეგოისტები და შურიანები ხდებიან, არ ახარებთ სხვისი წარმატებები და გაურბიან მწვავე სიტუაციებს. ბავშვს რომ მსგავსი კომპლექსი არ განუვითარდეს, არ არის საჭირო გადაჭარბებული ქება და ცალკეული შედეგების აღმატებითი შეფასება.

მეშვიდე კლასი. გარდატეხის პერიოდში (13-17 წლის ასაკში) მოზარდები უფრო სათუთები ხდებიან, უყვართ საკუთარ თავში ჩაღრმავება და სხვათა მომეტებული ყურადღების თავიანთი პერსონისადმი მიწერა. მოზარდს ეჩვენება, თითქოს „სცენაზე ცხოვრობს“. მეექვსე-მეშვიდე კლასიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება თანატოლთა აზრი, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის კეთილგანწყობილი არ არის და ხშირად არც სამართლიანია. ამ ასაკში ბავშვისთვის მნიშვნელოვანია იყოს ყველას მსგავსი, ჰქონდეს ის, რაც აქვთ სხვებს, იაროს იქ, სადაც ყველა დადის... კოლექტივი კარნახობს ყველაფერს – ვარცხნილობით დაწყებული, მობილური ტელეფონის მოდელით დამთავრებული. ბავშვის განცდა – „ყველას აქვს, მე კი არა“ – მძლავრი წყაროა სხვადასხვა კომპლექსის ფორმირებისთვის. აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორი ატმოსფეროა კონკრეტულ სასწავლო დაწესებულებაში, როგორია კლასში ფასეულობათა სისტემა და ლიდერთა პოზიცია.

ზოგჯერ ერთადერთი გამოსავალია კლასის ან სკოლის შეცვლა. მეშვიდე-მერვე კლასებში, პედაგოგებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, უპირველესი პედაგოგების უსამართლობაა. თითოეული დაუმსახურებელი (მოზარდის აზრით) შეფასება – კარგი თუ ცუდი, სხვისი თუ საკუთარი, პატარა აგურს დებს „სამართლიანობის მაძიებლის კომპლექსის“ ფუნდამენტზე. მას მიაჩნია, რომ ირგვლივ სრული უსამართლობაა. აქედან ორი გამოსავალი არსებობს – ადამიანი ან მსხვერპლად მიიჩნევს თავს და მარადიული ბრძოლისთვის ემზადება, ან სამუდამოდ ეგუება მსხვერპლის პასიურ პოზიციას. რა თქმა უნდა, პედაგოგები ყოველთვის ობიექტურები არ არიან და ან უმატებენ შეფასებას, ან აკლებენ, მაგრამ უნდა ვასწავლოთ ბავშვს, რომ ნიშნები ტრაგედიად არ მიიჩნიოს. ჯერ ერთი, ბავშვებს შეფასების საკუთარი კრიტერიუმები აქვთ, რომლებიც ყოველთვის მართებული არ არის. მეორეც, მასწავლებელი ცოცხალი ადამიანია და შეიძლება ცდებოდეს ან სურდეს, ბავშვისგან უფრო მეტი ცოდნა „ამოქაჩოს“, ვიდრე ის ამჟღავნებს. არსებობენ უსამართლო პედაგოგებიც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ვირწმუნოთ, რომ „მთელი სამყარო უსამართლოა“.

ნანა კალანდაძე

ქიმიის პედაგოგთა დასახმარებლად

ქიმიური რეაქციის სიჩქარის სწავლებისათვის

მოცემულ გაკვეთილის გეგმაში წარმოდგენილია, როგორ ვახდენ ლოგიკური მსჯელობის, დისკუსიის, ანალიზის გამოყენებით ქიმიური კინეტიკის საფუძვლების შემოქმედებით გაცნობიერებას. ნებისმიერი ქიმიური პროცესის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიური რეაქციების ენერგეტიკის განხილვას: რატომ ხდება ესა თუ ის რეაქცია? რატომ არის, რომ ზოგიერთი ნივთიერება რეაგირებს ერთმანეთთან და ზოგიერთი – არა? რა პირობებში წავა რეაქცია საკმაოდ სწრაფად, რომ მოცემულ პროცესს ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა? როგორი იქნება მოცემულ პირობებში რეაქციის გამოსავალი? ქიმიური პროცესების შესწავლისას ვცდილობ, ყურადღება გავამახვილო არა გარეგნულ ასპექტებზე, არამედ ვაჩვენო ამა თუ იმ რეაქციის მიმდინარეობის პროგნოზირების შესაძლებლობა. ქიმიური რეაქციის სიჩქარე ერთ-ერთი რთული თემაა პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან. მასალა რომ უფრო მისაწვდომი გავხადოთ მოსწავლეებისათვის, აუცილებელია თვალსაჩინო მასალის, ტაბულების, სქემების, ენერგეტიკული დიაგრამების გამოყენება.

რომელიმე ახალი ცნების შესწავლისას მიღებული ახალი ინფორმაცია ყოველთვის კავშირში უნდა იყოს იმასთან, რაც უკვე იცის მოსწავლემ, იგი ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია ნათლად უკავშირდება იმას, რაც უკვე ისწავლა. ასეთი მიდგომა მოსწავლეს ეხმარება თავად ააგოს ცოდნა, დაამყაროს კავშირი საგნებს შორის და შეძლოს ანალიზი. ამ მიზნით, საკითხის განხილვისას, ვიყენებ წინა თემებში შესწავლილ მასალას, ვსვამ ისეთ კითხვებს, რომელიც უბიძგებს მოსწავლეებს იაზროვნონ, შეძლონ გაგება, არგუმენტების ჩამოყალიბება, ანალიზი. რეაქციის სიჩქარის განხილვის დროს განსაკუთრებით ვეყრდნობი ქიმიური ბმების თეორიას.

გაკვეთილის გეგმა

საგანი: ქიმია
სწავლების საფეხური/კლასი: საშუალო/X კლასი
გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული
გაკვეთილის თემა: ტემპერატურის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე ტემპერატურის გავლენას, მიზეზებს, რომელიც ტემპერატურის გაზრდისას რეაქციის სიჩქარის ზრდას იწვევს. გაეცნობიან ვანტ-ჰოფის კანონს, ვანტ-ჰოფის ფორმულას, ფორმულის გამოყენებით ამოხსნიან ამოცანებს.
მისაღწევი შედეგი: მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომ ხდება ესა თუ ის რეაქცია ჩვეულებრივ პირობებში? რატომ არის საჭირო ზოგიერთი რეაქციის მიმდინარეობისთვის გახურება? რატომ რეაგირებს ზოგიერთი ნივთიერება ერთმანეთან და ზოგიერთი – არა? ახსნიან რეაქციის მიმდინარეობის არსს.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	საორგანიზაციო საკითხები – სიის ამოკითხვა. გაკვეთილის მიზნის, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.		საკლასო		2წთ
2	**აქტივობა 1** **წინარე ცოდნის გააქტიურება:** 1. რას ეწოდება რეაქციის სიჩქარე? 2. დაასახელეთ სიჩქარის ერთეული. 3. დაასახელეთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სიჩქარეზე. 4. ახსენით სიჩქარის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე, გამოსახეთ კინეტიკური განტოლებით. 5. განმარტეთ სიჩქარის მუდმივას ფიზიკური არსი, რა ფაქტორებზეა დამოკიდებული?	ფრონტალური გამოკითხვა	საკლასო	შეფასების კრიტერიუმები სახელმძღვანელო – მე-10 კლ., ანდრონიკაშვილი, გულაია, მამიაშვილი	4წთ
3	**აქტივობა 2** ვსვამ კითხვას: რა გავლენას ახდენს ტემპერატურა რეაქციის სიჩქარეზე? პასუხი მარტივია, იციან: ტემპერატურის მატებით სიჩქარე იზრდება. რით აიხსნება ტემპერატურის მომატებისას სიჩქარის სწრაფი ცვლილება? ვთხოვ, გაიხსენონ ფიზიკის კურსიდან სითბური მოვლენები და გამოთქვან ვარაუდი, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი. მოსწავლეები, ძირითადად, გამოთქვამენ ვარაუდს, რომ სიჩქარის ცვლილება გამოწვეულია მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის მომატებით, რაც, საბოლოოდ, მოლეკულების დაჯახების რიცხვს გაზრდის. მოსწავლეებს განვუმარტავ, რომ ნაწილობრივ სწორია მათი ვარაუდი, მაგრამ ეს არ არის ძირითადი მიზეზი, ამ მიზეზით სიჩქარე 0˚-100˚C-მდე ტემპერატურის მატებისას გაიზრდება, დაახლოებით, 1,2-ჯერ. რა შეიძლება იყოს ძირითადი მიზეზი? რაში მდგომარეობს ნებისმიერი ქიმიური რეაქციის არსი? მოსწავლეებმა იციან და მსჯელობენ: ნებისმიერი ქიმიური რეაქციის არსი არის არსებული მოლეკულების დაშლა და იმავე მოლეკულებიდან ახალი მოლეკულების წარმოქმნა, ანუ ხდება არსებული ბმების გახლეჩა და ახალი ბმების დამყარება, ატომთა გადაჯგუფება.	პროვოცირება	ჯგუფური		7წთ
4	**აქტივობა 3** **სიღრმისეული წვდომა** განვიხილოთ რეაქცია: A+B=C+D  ვახდენ ენერგეტიკული დიაგრამის ანალიზს, ანალიზის პროცესში მაქსიმალურად არიან ჩაართული მოსწავლეები. იმისათვის, რომ A და B ნივთიერებები რეაქციაში შევიდნენ, მათ უნდა გადალახონ ენერგეტიკული ბარიერი, მივანიჭოთ აქტივაციის ენერგია. რა ენერგიაა აქტივაციის ენერგია? რა არის ენერგეტიკული ბარიერი? რეაქციის არსიდან გამომდინარე, ასკვნიან: აქტივაციის ენერგია მოლეკულებში ბმის გასახლეჩად საჭირო ენერგიაა, ეს იგივეა, რაც ატომების ელექტრონული გარსების ურთიერთქმედებით აღძრული განზიდვის ძალები. ენერგეტიკული ბარიერის გადასალახავად უნდა მიეწოდოს ენერგია. აქვე აღვნიშნავ, რომ გარდა აქტივაციის ენერგიისა, აუცილებელია სივრცეში მოლეკულების ხელსაყრელი ორიენტაცია, ე.ი. ეფექტური დაჯახება. ენერგეტიკული ბარიერი მოლეკულებმა შეიძლება გადალახონ: **1) მოლეკულების დაჯახების ენერგიით, 2) გახურებით, 3) დასხივებით.** რომელი საშუალებით მოხდება მოლეკულის გააქტიურება დამოკიდებულია ენერგეტიკულ ბარიერზე – თუ ენერგეტიკული ბარიერი დაბალია, საკმარისია დაჯახების ენერგია, მაგალითად, ნატრიუმსა და წყალს შორის რეაქცია იწყება შეხებისთანავე: $2Na+2H_2O= 2NaOH+H_2$, მაგრამ წყალბადსა და ჟანგბადს შორის რეაქცია: $2H_2 +O_2 = 2H_2O$ არ დაიწყება ენერგიის მიწოდების გარეშე, რადგან ენერგეტიკული ბარიერი მაღალია. ისმის კითხვა: რატომ არ არის გრაფიკზე ენერგიის ნულოვანი მნიშვნელობა? ვთხოვ, გაიხსენონ ფიზიკიდან ცნება შინაგანი ენერგიის შესახებ. განმარტავენ შინაგან ენერგიას, გასაგები ხდება დასმული კითხვის პასუხი.	პრობლემის გამოკვეთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება დისკუსია	ჯგუფური მუშაობა		7წთ
5	**აქტივობა 4** ჯგუფებს ეძლევა დავალება: 1) გაიხსენეთ ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები. რომელ პროცესს – ეგზოთერმულს თუ ენდოთერმულს ასახავს მოცემული ენერგეტიკული დიაგრამა? 2) მოიფიქრეთ, შესაძლებელია თუ არა, რეაქციის შედეგად, სითბო არც გამოიყოს და არც შთაინთქას? 3) როგორი რეაქცია წარიმართება, თუ: E (გახლეჩის) < E (წარმოქმნის) – ეგზოთერმული თუ ენდოთერმული? 4) როგორი რეაქცია წარიმართება, თუ: E (გახლეჩის) > E (წარმოქმნის) – ეგზოთერმული თუ ენდოთერმული? ჯგუფიდან თითო პრეზენტატორი წარადგენს ნაშრომს, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, შეავსებენ ჯგუფის წევრები.	პრეზენტაცია	ჯგუფური მუშაობა		8წთ
6	**აქტივობა 5** **რეფლექსია:** კეთდება დასკვნები: **1) ეგზოთერმული რეაქციები:** ა) დაბალი ენერგეტიკული ბარიერით მიმდინარეობს გაცხელების გარეშე. ბ) მაღალი ენერგეტიკული ბარიერით მიმდინარეობს გახურებით (გახურება საჭიროა რეაქციის დასაწყებად, შემდეგ გრძელდება გამოყოფილი ენერგიის ხარჯზე). **2) ენდოთერმული რეაქციები:** ა) დაბალი ენერგეტიკული ბარიერით წარიმართება განუწყვეტელი გახურების პირობებში. ბ) მაღალი ენერგეტიკული ბარიერით შეიძლება საერთოდ არ წავიდეს.			შეფასების რუბრიკებით	8წთ
7	**შეფასება.**				9წთ

დალი გულაია
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

სამოდელო გაკვეთილი

სამუზეუმო ექსპონატების გამოყენება მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, IV კლასი

გაკვეთილი მუზეუმში, თემა: „ორნამენტი – ნივთის სამკაული“

ავტორი: დალი თურმანიძე, წამყვანი მასწავლებელი

შესავალი:

შეცვლილი მუშაობის სტილი – მუზეუმის კომფორტულ გარემოში; პირველადი ემოციები; შთაბეჭდილებები; ინოვაციები სწავლებაში; „ულამაზესი პლანეტა დედამიწა ჩვენი საერთო სახლია. მშვენიერი ბუნების გარდა, მას ადამიანის ხელით შექმნილი უამრავი საოცარი ქმნილება ამშვენებს“.

გაკვეთილის აქტუალობა: სამუზეუმო ექსპონატების გამოყენება მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. იხილეს ქართული კულტურის, კერძოდ ორნამენტის, უმნიშვნელოვანესი საგანძური. არაფორმალურ გარემოში გაკვეთილის ჩატარება. მდიდარი რესურსით გამრავალფეროვნებული გაკვეთილი მეტი შედეგის მომცემია. გაიხსენეს განვლილი მასალა ორნამენტის შესახებ, წინარე ცოდნა დაეხმარათ მომდევნო საკითხზე დინამიკურად გადასვლაში. იმუშავეს ჯგუფებში, წყვილებში, ინდივიდუალურად.

გაკვეთილის მიზანი:

- გავუღრმაოთ ცოდნა მუზეუმის ისტორიული და ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ;
- გამოვუმუშაოთ წარმოსახვის, ფანტაზიისა და კრიტიკული აზროვნების უნარი; საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი;
- განუვითაროთ ორნამენტის ძირითადი პრინციპების, მოტივების, კომპოზიციის, ანალიზის უნარი;
- გამოვუმუშაოთ ორნამენტის სხვადასხვა პრინციპით შექმნის უნარ-ჩვევა.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. რა იცით და გსმენიათ მუზეუმის შესახებ? – საქართველოსა და მსოფლიო მუზეუმების შესახებ ვარაუდების და მოსაზრებების გამოთქმა და ფლიფჩარტზე დაფიქსირება, ვიდეოკოლაჟის ჩვენება.

აქტივობა 2. პრეზენტაცია – მოკლე ექსკურსი მუზეუმის ხელოვნების საგანძურში. მუზეუმის თანამშრომელმა მოსწავლეებს საინტერესო და მოტივაციის მომცემი ინფორმაცია მიაწოდა გამოყენებითი ხელოვნების ადრეული ნიმუშების შესახებ, კერძოდ, ესაუბრა ხეზე და ქვაზე კვეთის ორიგინალურ ნიმუშებზე, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (ძირითადად ორნამენტული ნიმუშების შესახებ).

აქტივობა 3. პროვოცირება – მდიდარი რესურსით გამრავალფეროვნებული გაკვეთილი მეტი შედეგის მომცემია. გაიხსენეს განვლილი მასალა ორნამენტის შესახებ. ვიდეოფილმის ჩვენება – „ორნამენტი – ნივთის ხელოვნება“.

აქტივობა 4. „ცნობარი“ – სიტყვების ახსნა მუზეუმთან კავშირში.

აქტივობა 5. კითხვა-პასუხი, მეთოდი: „კითხვის დამსმელი და მოპასუხე“ – წყვილებში მუშაობა (ლექციაზე მიღებული ცოდნის რეფლექსია), სააზროვნო კითხვები. წყვილები ერთმანეთს აფასებენ აზრის გადმოცემის მიხედვით, ხდება კონსტრუქტივისტული უკუკავშირი.

აქტივობა 6. ჯგუფური მუშაობა – სამი ჯგუფი, ინდივიდუალური დავალებები ჯგუფებისათვის: *პირველი ჯგუფი* – რა იცით თაღოვანი ხიდების შესახებ? არქიტექტორი რომ იყოთ, ააგებდით თუ არა ასეთ ხიდებს და როგორი ორნამენტებით დაამშვენებდით? (საუბარი და ჩანახატის შესრულება); *მეორე ჯგუფი* – რა სახის წნულ ნაკეთობებს ხედავთ დარბაზში? შეგიძლიათ მათი დასახელება? გამოიყენება თუ არა ისინი დღეს? შექმენით, თქვენეული ორნამენტებით, წნული ნაკეთობების ჩანახატი; *მესამე ჯგუფი* – დაათვალიერეთ ხეზე კვეთის ნიმუშები, დააკვირდით მათ ორნამენტებს, მოძებნეთ ჯვრის ორნამენტები და ჩახატეთ რომელიმე მათგანი. ჯგუფების პრეზენტაცია, ნამუშევრების თვალსაჩინოდ გამოფენა საგამოფენო დარბაზში.

აქტივობა 7. მუსიკალურ ფონზე პრაქტიკული დავალების შესრულება – „შეგიძლია მოხატო ნივთი და აქციო ის სამკაულად? – მოხატე!“ ჩვენი სახელოსნო.

აქტივობა 8. შეფასების რუბრიკა – რა გავიგეთ ახალი დღეს? რა „აღმოვაჩინეთ“ ჩვენი აქტიურობით? რით იყო განსხვავებული დღევანდელი გაკვეთილი? შეფასება, განმავითარებელი კომენტარი, ცოდნის გააქტიურების უნარი, პრეზენტაციის უნარი.

აქტივობა 9. თვითშეფასების რუბრიკა კრიტერიუმებით.

დასკვნა: ამ გაკვეთილმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, ემსჯელათ მეტად აქტუალური თემის შესახებ. სწორად გათვლილმა და განაწილებულმა დრომ, აგრეთვე მოსწავლეთა ორგანიზებულობამ და მონდომებამ, მოსწავლეთა მობილიზებამ და ოპერატიულობამ განაპირობა გაკვეთილის გეგმით განსაზღვრული აქტივობების სრულყოფილად განხორციელება. გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები აღმოჩნდა სწორად შერჩეული, რადგან უზრუნველყო მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და დადებითად იმოქმედა მათ პროდუქტიულ ინტერაქციაზე. მოსწავლეებმა ჩატარებული გაკვეთილით მიიღეს ცოდნა მუზეუმის ისტორიული და ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ. გამოუმუშავდათ წარმოსახვის, ფანტაზიისა და კრიტიკული აზროვნების უნარი; საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი; განუვითარდათ ორნამენტის ძირითადი პრინციპების, მოტივების, კომპოზიციის, ანალიზის უნარი. გამოუმუშავდათ ორნამენტის სხვადასხვა პრინციპით შექმნის უნარ-ჩვევა; გაკვეთილზე შექმნილი მქონდა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო, შევეცადე ჩემსა და მოსწავლეებს შორის ყოფილიყო კეთილგანწყობილი და თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა. სასწავლო რესურსი და თვალსაჩინოება იყო მიზნობრივად შექმნილი და მოსწავლეებისათვის მისაწვდომი. გაკვეთილის ეფექტური და მიზნობრივი დაგეგმვით მოსწავლეებმა თანმიმდევრულად იმუშავეს საგაკვეთილო მასალაზე და წარმატებულად შეასრულეს დავალებები.

გაკვეთილის თემა	**სამოდელო გაკვეთილი მუზეუმში** გეგმა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება „ორნამენტი – ნივთის სამკაული“
სწავლების საფეხური	მე-4 კლასი, 11 მოსწავლე, მასწავლებელი: დალი თურმანიძე
სამუზეუმო-სასწავლო რესურსი – ექსპონატი	**მუზეუმის ექსპონატები შესაბამის თემაზე, პროექტორი, კომპიუტერი, ფლიფჩარტი, მარკერები, მისაწებებელი ბარათები, თაბახის ფურცლები, შეფასების ბარათები.**
გაკვეთილის თეზისები	• „ულამაზესი პლანეტა დედამიწა ჩვენი საერთო სახლია. მშვენიერი ბუნების გარდა, მას ადამიანის ხელით შექმნილი უამრავი საოცარი ქმნილება ამშვენებს“; • შეცვლილი მუშაობის სტილი – მუზეუმის კომფორტულ გარემოში; • პირველადი ემოციები; შთაბეჭდილებები; ინოვაციები სწავლებაში; • თამაშით სწავლება; • პირველი სირთულეები.
შეფასების საგანი და პროცედურები	უკუკავშირი; განმავითარებელი შეფასება, შეფასების რუბრიკა კრიტერიუმებით. თვითშეფასების რუბრიკა კრიტერიუმებით.
დაჯგუფების ფორმები **გაკვეთილის დრო**	ინდივიდუალური; წყვილური; ჯგუფური. ერთი საგაკვეთილო დრო – 45 წუთი
გაკვეთილის მიზანი	• რა არის გაკვეთილის მიზანი? • გავუღრმავოთ ცოდნა მუზეუმის ისტორიული და ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ. • გამოვუმუშაოთ წარმოსახვის, ფანტაზიისა და კრიტიკული აზროვნების უნარი; საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი; • განუვითაროთ ორნამენტის ძირითადი პრინციპების, მოტივების, კომპოზიციის, ანალიზის უნარი. • გამოვუმუშაოთ ორნამენტის სხვადასხვა პრინციპით შექმნის უნარ-ჩვევა.
ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი	**სტანდარტი და ინდიკატორი:** **ს.გ.IV.1.** მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ფიგურის, ფორმის, ან ორნამენტის გამეორებით ქმნის რიტმულ კომპოზიციებს; **ს.გ.IV.6.** მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში (ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში, ფუნქციების განაწილებაში); **ს.გ.IV.7.** მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და ისაუბროს მათში გამოხატულ იდეებსა და გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • საუბრობს საკუთარ და სხვათა ნამუშევრებში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებსა და ელემენტებზე (ჟანრი, მასალა, ტექნიკა, ფორმა, ფაქტურა და სხვ.); ხელოვნების ნამუშევარზე საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინებს განვლილი მასალიდან; • წარდგენის დროს სვამს კითხვებს და ადეკვატურად პასუხობს სხვის მიერ დასმულ შეკითხვებს.
გაკვეთილის მსვლელობა	**გეგმა-კონსპექტი** (გაკვეთილის მსვლელობას მიჰყვება პროექტორით გაკვეთილის გეგმის პრეზენტაცია) **გაკვეთილის აქტუალობა:** • მდიდარი რესურსით გამრავალფეროვნებული გაკვეთილი მეტი შედეგის მომცემია. • გაიხსენებენ განვლილ მასალას ორნამენტის შესახებ, წინარე ცოდნა დაეხმარებათ მომდევნო საკითხზე დინამიკურად გადასვლაში. • იმუშავებენ ჯგუფებში, წყვილებში, ინდივიდუალურად. **აქტივობა 1. შესავალი – პროვოცირება** (5 წუთი) ვიდეოფილმის ჩვენება – ორნამენტის ხელოვნება „ორნამენტი – ნივთის სამკაული“

გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 2. „ცნობარი“** – სიტყვების ახსნა მუზეუმთან კავშირში (მოსმენილი მინი-ლექციის საფუძველზე ტერმინების განმარტება – 5 წუთი). *მუზეუმი* – მუზების სამფლობელო; *ექსპოზიცია* – სამუზეუმო ნივთი, მუზეუმში უნიკალური ნივთების გამოფენა; *ორნამენტი* – ლათინურიდან მომდინარეობს და ის სამკაულს ნიშნავს. თარგი, რომელიც დამყარებულია მისი შემადგენელი ელემენტების გამეორებასა და მონაცვლეობაზე; *ექსკურსიამძღოლი* – მუზეუმის თანამშრომელი, დამთვალიერებლებს ექსპონატების შესახებ ესაუბრება. **აქტივობა 3. კითხვა-პასუხი** (10 წუთი) **მეთოდი:** „კითხვის დამსმელი და მოპასუხე“ – წყვილებში მუშაობა; (ლექციაზე მიღებული ცოდნის რეფლექსია) სააზროვნო კითხვები: • რა არის ნივთების შესამკობად გამოყენებული, მაგ.: ჭურჭლის, ხალიჩის, სამკაულის და სხვა? • რა არის ორნამენტი და რისთვის იყენებენ მას? • რატომ ითვლება ორნამენტი ხელოვნების ნიმუშის სამკაულად? • დაასახელეთ ირგვლივ ის საგნები, რომლებიც ორნამენტითაა შემკული? • რა ფორმებია გამოყენებული ამა თუ იმ ორნამენტის შესაქმნელად? • გამოთქვი მოსაზრება, რატომ ითვლება მუზეუმი ხელოვნებისა და ცოდნის ტაძრად? • როგორ ფიქრობ, უნდა დაიცვას თუ არა დამთვალიერებელმა მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გარკვეული წესები? • მუზეუმის წესების განსაზღვრა სცადეთ თქვენც? წყვილები ერთმანეთს აფასებენ აზრის გადმოცემის მიხედვით, ხდება კონსტრუქტივისტული უკუკავშირი. **აქტივობა 4. ჯგუფური მუშაობა** (15 წუთი) სამი ჯგუფი – ინდივიდუალური დავალებები ჯგუფებისათვის: *პირველი ჯგუფი* – რა იცით თაღოვანი ხიდების შესახებ? არქიტექტორი რომ იყოთ, ააგებდით თუ არა ასეთ ხიდებს და როგორი ორნამენტებით დაამშვენებდით? (საუბარი და ჩანახატის შესრულება) *მეორე ჯგუფი* – რა სახის წნულ ნაკეთობებს ხედავთ დარბაზში? შეგიძლიათ მათი დასახელება? გამოიყენება თუ არა ისინი დღეს? შექმენით თქვენეული ორნამენტებით წნული ნაკეთობების ჩანახატი. *მესამე ჯგუფი* – დაათვალიერეთ ხეზე კვეთის ნიმუშები, დააკვირდით მათ ორნამენტებს, მოძებნეთ ჯვრის ორნამენტები და ჩახატეთ რომელიმე მათგანი. ჯგუფების პრეზენტაცია, ნამუშევრების თვალსაჩინოდ გამოფენა საგამოფენო დარბაზში. **აქტივობა 5. მუსიკალურ ფონზე პრაქტიკული დავალების შესრულება** (5 წუთი – კლასიკური მელოდია) „შენ შეგიძლია მოხატო ნივთი და აქციო ის სამკაულად? – მოხატე!“ ჩვენი სახელოსნო. **აქტივობა 6. შეფასების რუბრიკა** (5 წუთი) შევამოწმოთ გაკვეთილი: რა გავიგეთ ახალი დღეს? რა „აღმოვაჩინეთ“ ჩვენი აქტიურობით? რით იყო განსხვავებული დღევანდელი გაკვეთილი? **შეფასება** – განმავითარებელი კომენტარი, ცოდნის გააქტიურების უნარი; პრეზენტაციის უნარი. **დანართი 7. თვითშეფასების რუბრიკა კრიტერიუმებით**

გაკვეთილის რესურსები
თვითშეფასების კითხვარი

გაკვეთილზე უნდა დააკვირდნენ და შეაფასონ საკუთარი თავი მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

ა) საშინაო დავალება – წინარე ცოდნის გააქტიურება

ბ) ყოფაქცევა

გ) თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა

დ) სწორად შესრულებული სამუშაო

მსმენელი, რომელიც ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს, დაიმსახურებს

(გაკვეთილის ბოლოს დაურიგდებათ თვითშეფასების ფურცლები)

თვითშეფასების განხილვა – გაკვეთილის ბოლოს ურიგდებათ შეფასების ბარათები, რომელსაც დააწერენ თავიანთ სახელს. უნდა შეაფასონ საკუთარი თავი და აღნიშნონ, რომელი სურათი მოიპოვეს, შემდეგ კი ჩამაბარონ.

დალი თურმანიძე

სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ბიჭიაშვილის 10 სამქულიანი

ამ დღეებში დაიწყო საქართველოს 18-წლამდელ კალათბურთელთა ჩემპიონატი, სადაც პირველივე დღეს ფრიად საინტერესო შედეგი აღინიშნა. ეს „ზაზა I"- სსუ-ს შეხვედრაში მოხდა, მისი ავტორი კი **ზაზა ფაჩულიას** აკადემიის ახალწვეული **გიორგი ბიჭიაშვილი** გახდა, ამ თამაშში მან 10 სამქულიანი ჩააგდო!

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, „ზაზა I" ზაზა ფაჩულიას აკადემიის გუნდია, თავად ბიჭიაშვილი კი კლუბ „ორბის" აღზრდილია და იმ კლუბში სხვადასხვა ტურნირებში არაერთგზის გამოიჩინა თავი, არც ისე დიდი ხნის წინ კი აკადემიელებს შეუერთდა.

ზემოაღნიშნული მატჩიც აკადემიელებმა მოიგეს – მათ მომავალ ექიმებს დიდი ანგარიშით, 92:57 მოუგეს. ამაში ლომის წილი ბიჭიაშვილმა შეიტანა შესანიშნავი თამაშით, რომელმაც 38 ქულა დააგროვა. თავისთავად, ქულათა ეს რაოდენობაც შთამბეჭდავია, მაგრამ არა მიუღწეველი – კალათბურთში, ნებისმიერ ასაკში პერიოდულად ვხედავთ ხოლმე მსგავს შედეგს, მაგრამ აი, 10 სამქულიანი კი მართლაც გამორჩეული შემთხვევაა. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოს კალათბურთში იშვიათად ხდება და ის მხოლოდ ოსტატთა ხვედრია.

ბიჭიაშვილმა აღნიშნულ შეხვედრაში 15-ჯერ ისროლა სამქულიანი ზონიდან. აქედან პირველი 9 ტყორცნა უშეცდომოდ გამოიყენა. მერე კი დააცილა რამდენიმე, მაგრამ მეათე სამქულიანი მაინც ჩააგდო და თვალსაჩინო მიღწევა დაფიქსირა. ის შორი პერიმეტრიდან გაცილებით შედეგიანი იყო, ვიდრე ფარქვეშ ან ახლო მანძილიდან სროლებში. სწორედ სამქულიანების ხარჯზე გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე.

ქართულ სპორტს არასოდეს აკლდა ტალანტები. მათ შორის – კალათბურთსაც, რომელსაც უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა მოქმედებს. ამის მაგალითია NBA-სა თუ, ზოგადად, ამერიკულ კოლეჯებში მომრავლებული ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები, რომელთა რაოდენობაც წლიდან წლამდე იზრდება. ფაქტია, ამ ნიჭიერთა შორის გიორგი ბიჭიაშვილი ერთ-ერთი გამორჩეულია – ქართულ კალათბურთს მომავალ დიდ იმედად ეზრდება.

სკოლიდან სამთო ბილიკებზე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლებში სპორტის გაკვეთილების, სპორტში მათი ჩართულობის გასაზრდელად, მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს მართავს და გარკვეულ პროექტებსაც ახორციელებს. ამ ფარგლებში შედის არაფორმალური განათლების კუთხით დაგეგმილ-განხორციელებული აქტივობებიც – ლაშქრობები, ექსკურსიები, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც დამატებით თავის თავში აერთიანებენ და მოიცავენ ვიქტორინებს, კითხვა-პასუხის ფორმატში აგებულ სახალისო თამაშობებს და სხვა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ფორმალური განათლების განმტკიცებასაც და ამასთან, აისახება შეფასების სისტემაში, რაც, მაგალითად, შარშან, პროექტის პირველი წლის დასასრულს ერთ-ერთი შემაფასებელი ფაქტორი იყო სკოლებში სპორტის გაკვეთილების შეფასებაში.

თავის დროზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მიიღო საინიციატივო ჯგუფის წერილი, რომელშიც შედიან სხვადასხვა დარგის მეცნიერები, სპეციალისტები, პრაქტიკოსები, ექიმები. მათ აერთიანებთ ერთი საერთო ნიშანი – ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად, რაღაც კუთხით თუ ფორმით, დაკავშირებულია სპორტის სამთო სახეობებთან. მათი ინიციატივაც ამ კონკრეტულ მიმართულებას უკავშირდება – მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართოს სამთო ლაშქრობები.

განათლების სისტემისთვის მსგავსი ღონისძიებები უცხო არაა, რადგან ბევრ თაობას კარგად ახსოვს ალპინიადები, როცა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები დადიოდნენ მთებში, შედარებით მარტივ და არა მაღალი სირთულის კოეფიციენტის მქონე მარშრუტებზე. თუმცა კონკრეტული სპეციფიკური ჯგუფები, იშვიათად, შედარებით რთულ მარშრუტებზეც გადიოდნენ, ოღონდ ეს მაინც უფრო ვიწრო, სპეციალიზებული წრეებისთვის მოწყობილი ალპინიადები იყო. უმეტესად ისინი ტარდებოდა სწორედ ანალოგიური მიზნით – გაეზარდათ დაინტერესება ცხოვრების ჯანსაღი წესის, სამთო სპორტის მიმართ და ამას ძალიან ხშირად აღწევდნენ კიდეც. ამგვარი ალპინიადებისთვის რამდენიმეგან სპეციალური ბანაკებიც იყო მოწყობილი.

ახლანდელი ინიციატივა მთლიანად სკოლის მოსწავლეებზეა გათვლილი და ის ვერ შეიძენს ასეთ მასშტაბურ დატვირთვას, კიდევ უფრო მარტივი აქტივობებით თუ იქნება შემოფარგლული. საინიციატივო ჯგუფის მიმართვაც ამას ითვალისწინებს – სალაშქრო ტიპის გასვლებს თბილისის შემოგარენში, რაც უკვე განხორციელდა და კონკრეტული შედეგებიც მივიღეთ: სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის, მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის და საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობით საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, პედაგოგებმა (არა მხოლოდ სპორტის), მშობლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ რამდენიმე სამთო ბილიკი გაიარეს. ამასთან, მომზადდა „სახელმძღვანელო მარტივ სამთო ბილიკებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის გამყოლისთვის", სადაც ყურადღება გამახვილებულია, როგორ უნდა დაიგეგმოს მარტივ საფეხმავლო ბილიკებზე ლაშქრობების მოწყობა, ასევე ავტოტრანსპორტით უსაფრთხო მოძრაობაზე და ლაშქრობისთვის მნიშვნელოვან სხვა აუცილებელ დეტალებზე; ასევე მომზადდა საქართველოს ტურისტული მარშრუტების ელექტრონული რუკა, სადაც დატანილია, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა დროს გამოკვლეული და დაპროექტებული ტურისტული მარშრუტები.

ამ დღეებში სამინისტრომ ეს ყველაფერი დაუგზავნა საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გასავრცელებლად. ამასთან, სკოლებმა თავად უნდა დაგეგმონ და მოაწყონ ლაშქრობები არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ პედაგოგების, სკოლის დირექციის და მშობლების ჩართულობით.

სამინისტრო ასევე მოუწოდებს სკოლებს, რომ, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყონ სპორტული დარბაზების აღჭურვა სპორტული ინვენტარით, ისინი დაიტვირთოს მაქსიმალურად, საჭიროების შემთხვევაში, გადაჯგუფდეს პარალელური ან მომიჯნავე კლასები და საგაკვეთილო ცხრილში პირველ გაკვეთილზე გაითვალისწინონ ფიზიკური აღზრდა და სპორტი. ამასთან, სპორტის გაკვეთილებზე მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ სპორტული ფორმებით. ამასთან, სამინისტრო სთხოვს საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, სასწავლო წლის ბოლოს, სტატისტიკის დადგენის მიზნით, სკოლებიდან გამოითხოვონ შემდეგი ცნობები: სალაშქრო ბილიკების მანძილი; ლაშქრობებში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა და ვინაობა.

ბათუმი ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს

2019 წლის ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, 6-13 აპრილს, ბათუმში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ, 2017 წელს, ოფიციალური განაცხადის წარდგენის შემდეგ, ევროპის ფედერაციის კონგრესზე მოიპოვა.

ბათუმის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებზე სასაუბროდ, 31 იანვარს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილესთან, **მიხეილ გიორგაძესთან** სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას მინისტრის მოადგილე **შალვა გოგოლაძესთან** ერთად, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახი კახიაშვილი**, ვიცე-პრეზიდენტი **ნოდარ სირბილაშვილი**, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი ასანიძე** და სპორტსმენები – ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი **ირაკლი თურმანიძე** ესწრებოდნენ.

წინასწარი მონაცემებით, ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში, ბათუმს 400-მდე სპორტსმენი, ჯამში კი – 50 სპორტული დელეგაციის 800-მდე სტუმარი ეწვევა. თებერვლის დასაწყისში, ბათუმში, დაგეგმილია ევროპის ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივნის, **ხასან აკუშის** და ევროსპორტის ტექნიკური დირექტორის, **დევიდ გოლდსტრომის** მორიგი ვიზიტი. უცხოელი სტუმრები, აჭარის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, ჩემპიონატის მოსამზადებელ სამუშაოებს შეაჯამებენ.

2019 წლის ევროპის ჩემპიონატის პირდაპირი ტელეტრანსლაცია სპორტულ ტელეარხ „ევროსპორტზე" გადაიცემა და ბათუმში გასამართ პირველობას 60-მილიონიანი აუდიტორია ეყოლება, 40-საათიანი პირდაპირი ეთერის რეჟიმში. ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში ბათუმის ახალ, მულტიფუნქციურ სპორტის სასახლეში გაიმართება, რომელიც მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისთვის აშენდა.

ევროპის ჩემპიონატს ძალოსნობაში საქართველო მეორედ უმასპინძლებს, 2015 წელს ევროპის ჩემპიონატი თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა.

CNN-მა ქართულ რაგბს სიუჟეტი მიუძღვნა

გადაცემაში განიხილეს საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებული გამოსვლა 2015 წლის მსოფლიო თასზე. საუბარი შეეხო ექვსი ერის ჩემპიონატის ფორმატის შესაძლო ცვლილებას. გადაცემის სტუმარი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი** იყო. ჰეიგმა, წამყვანთან საუბრისას, აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრებს პირველი დონის გუნდებთან რეგულარულად თამაშის შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

გარდა ამისა, CNN-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, რომელშიც მიმოხილულია „ბორჯღალოსნების" მზადება 2019 წლის მსოფლიო თასისთვის. სტატია ნაკრების შერკინების ახალი მწვრთნელის, ინგლისელი **გრეემ როუნთორის** დახასიათებით იწყება: *„როდესაც საუბარია რაგბზე, როუნთორის ცოტა რამ თუ გააკვირვებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის საქართველოს ნაკრების შერკინების მწვრთნელად დაინიშნა, საპირისპირო მტკიცდება."*

პარალიმპიურ კომიტეტს – ადაპტირებული მიკროავტობუსი

ჩინეთის მთავრობამ პარალიმპიურ კომიტეტს ადაპტირებული მიკროავტობუსი გადასცა. საჩუქარი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა, **ძი იენჩმა** პირადად გადასცა პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, **შალვა მაისურაძეს**. ღონისძიებას, რომელიც საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში" ჩატარდა, ესწრებოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე ხვთისიაშვილი**, სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე**, პარლამენტის წევრები და პარასპორტსმენები.

ჩინური კომპანია „JAC Motors"-ის მიერ წარმოებული ადაპტირებული მიკროავტობუსი პარასპორტსმენების უსაფრთხო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

ბოლო წლებში, ქართული პარასპორტი საგრძნობლად განვითარდა. 2016 წელს პარაძიუდოისტი **ზვიად გოგოჭური** რიოს პარალიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა 2018 წელი. გასულ წელს, პარასპორსტმენებმა საერთაშორისო ტურნირებზე 22 მედალი – 8 ოქრო, 3 ვერცხლი და 11 ბრინჯაო მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონი ზვიად გოგოჭური გახდა, ხოლო ეტლით მოფარიკავე **ირმა ხეცურიანმა** 5 მსოფლიო თასი მოიგო. გარდა ამისა, ძლიერთა თამაშების გამარჯვებული ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს მჯდომარე ფრენბურთელთა ნაკრები.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ტესტები და დამხმარე სახელმძღვანელოები
მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და პედაგოგებისთვის!

ტესტები ქიმიაში
მოიცავს ზოგად, არაორგანულ და ორგანულ ქიმიას.
210 x 297 მმ., 246 გვ.

ამოცანათა კრებული
500-ზე მეტი ამოცანა ამოხსნებით მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის.
210 x 297 მმ., 350 გვ.

დამხმარე სახელმძღვანელო
სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის
210 x 297 მმ., 286 გვ.

პედაგოგებისთვის
თეორიული მასალა ზოგად, არაორგანულ და ორგანულ ქიმიაში.
210 x 297 მმ., 400 გვ.

ტესტები მათემატიკაში აბიტურიენტებისთვის
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მათემატიკის საგამოცდო ტესტების ანალოგიური 28 სრულყოფილი ტესტი.
200 x 257 მმ, 186 გვ.

თემატური სა საკონტროლო ტესტები თვითშეფასებისთვის
გამოსაშვები გამოცდების პროგრამის მიხედვით. წიგნში მოცემული თითქმის ყველა ამოცანა ორიგინალურია!
195 x 265, 356 გვ.

150 x 210, 132 გვ.

150 x 210, 172 გვ.

150 x 210, 242 გვ.

150 x 210, 184 გვ.

ფიზიკის ამოცანებისა და ტესტების კრებულები
წიგნებში მოცემულია შესაბამისი კლასის ფიზიკის სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მასალის შესაბამისი ამოცანები და ტესტები. კრებულის გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი ტიპის სკოლისათვის, დამოუკიდებლად იმისა, რომელი სახელმძღვანელოთი ხორციელდება სასწავლო პროცესი. კრებულების ბოლოს მოცემულია ცხრილები, რომლებიც საჭიროა მოცემული ამოცანების ამოხსნისათვის და ძირითადი ფორმულების ჩამონათვალი, რომელთა ცოდნა აუცილებელია სასწავლო მასალის ათვისებისათვის.

ხელოვნება
დამხმარე სახელმძღვანელო 1-ელ და მე-2 კლასებში
სახელმძღვანელო აგებულია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.
210 x 297 მმ,
84 გვ., ფერადი
გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი ტიპის სკოლისათვის, დამოუკიდებლად იმისა, რომელი სახელმძღვანელოთი ხორციელდება სასწავლო პროცესი.

კლასის მართვა
საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის
სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს კლასის მართვის ამომწურავი გეგმის შექმნასა და შენარჩუნებას.
175 x 260 მმ,
256 გვ.

0112, თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 181,
ტელ: (032) 234.04.30 ვებ-გვერდი: www.klio.ge; ელფოსტა:
book@klio.ge // kliopublishing@gmail.com
FB: PublishingHouseKlio /ან გვიპოვეთ ჰეშთეგით #კლიო/

წიგნის თარო

პედაგოგთა დასახმარებლად

12 ლარი

10 ლარი

არაქართულენოვანი პედაგოგებისთვის

9 ლარი

9 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.